ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 183 (203) პარასკევი, 20 სექტემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

**20 სექტემბერს** მუშაობას შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. სხდომაზე მოწვეული იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები გაუქმებული საქართველოს კომპარტიისაგან, მინისტრთა კაბინეტის წევრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის გახსნის შემდეგ გამოვიდა დეპუტატი ირაკლი მულაშვილი, რომელმაც წაიკითხა დეპუტატთა ჯგუფის განცხადება საპარლამენტო ფრაქციის „ქარტია-91“-ის შექმნის შესახებ. მასთან ერთად მასში შედიან უზენაესი საბჭოს წევრები თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, თენგიზ დიხამინჯია, მერაბ ურიდია, მალხაზ კვანჭილაშვილი, გელა კობერიძე და მერაბ დვალიშვილი.

განცხადება დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რომლებიც წარმოადგენენ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებას, გააკეთა დეპუტატმა დავით კუპრეიშვილმა. იგი შეიცავს პროტესტს ამა წლის 17 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც უარყოფილია ამ ჯგუფის წინადადებანი შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან რესპუბლიკის გამოყვანის შესახებ.

საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ სახელით დეპუტატმა დავით არევაძემ განაცხადა, რომ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა გახდა მოსახლეობის დეზინფორმაციის წყარო. მან დასვა საკითხი მისი ხელმძღვანელობის გადაყენების შესახებ და მოითხოვა განუხრელად შესრულდეს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.

ერთ საათზე მეტი დასჭირდათ დეპუტატებს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ დღის წესრიგი. მასში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა დაეყო იგი ორ ნაწილად პრინციპით: პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. გადაწყდა პოლიტიკური საკითხები განეხილათ სესიის მუშაობის პირველ დღეს, ხოლო ეკონომიკური — მეორე დღეს.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატთა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გია ფირცხალაიშვილის წარდგენით ცნეს ლია ანდღულაძისა და გიორგი მარჯანიშვილის, აგრეთვე აკაკი კვიცინიას სადეპუტატო უფლებამოსილებანი.

პრინციპული დისკუსიის საგანი გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონში დამატებათა შეტანის საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს საკითხი წინასწარ არ შეისწავლა უზენაესი საბჭოს მუდმივმა იურიდიულმა კომისიამ, მისი განხილვა გადაიდო. ამავე მიზეზით გადაიდო რესპუბლიკის გაუქმებული კომპარტიისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილებების საკითხის განხილვაც.

რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ საკითხზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მან აღნიშნა ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავება. გააანალიზა მიზეზები, რომლებსაც სისხლისღვრა მოჰყვა, და ამისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა არა მარტო ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებს, რომლებიც პრაქტიკაში არ იყენებენ კანონის ძალას, რომლის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე სიმშვიდე საქართველოში არ იქნება. პრეზიდენტმა საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდა, ნუ შეუერთდება „ქუჩის“ ოპოზიციას. მან უარყო ფსევდოოპოზიციის მრავალი ბრალდება როგორც თავისი მისამართით, ისე კანონიერად არჩეული ხელისუფლების მისამართითაც.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ერთხელ კიდევ მოუწოდა ოპოზიციას კონსტრუქციული დიალოგისაკენ და [illegible] გაუსვა ხაზი, რომ საქართველოში სხვადასხვა ძალების დაპირისპირების შედეგად არ იქნება არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ ცენტრმა, იმპერიამ. ამიტომ, თავიდან რომ ავიცილოთ კატასტროფები, დაუყოვნებლივ უნდა გავონახოთ ურთიერთთანხმობის გზები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალზე საჭიროა შევინარჩუნოთ პარლამენტი, ავმაღლდეთ პირად პრეტენზიებზე, გავერთიანდეთ და ერთობლივი ძალისხმევით ვიხსნათ საქართველო, მივაღწიოთ მის სრულ დამოუკიდებლობას.

განსახილველ საკითხზე თავიანთი პოლიტიკური კავშირების, პარტიების, საზოგადოებების, ფრაქციების სახელით თანამოხსენებებით გამოვიდნენ დეპუტატები თეიმურაზ ქორიძე, ვაჟა ადამია, აკაკი ასათიანი, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ნემო ბურჭულაძე, ნოდარ ნათაძე, გიორგი მარჯანიშვილი, ემზარ გოგუაძე, თედო პაატაშვილი. შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ იმნაძე, გურამ პეტრიაშვილი, მაია მაჭავარიანი.

დეპუტატების მიერ დასმულ მთელ რიგ კითხვებს უპასუხა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

20 სექტემბერს სხდომა გაგრძელდება.

საქინფორმი.

სურათზე: ინგუშეთის დემოკრატიული პარტიის „ნიისხოს“ წარმომადგენლები ასკაბ ბარახოევი და მუხტარ ტუმგოევი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრის დროს.

**აფხაზეთის მოსახლეობის მრავალრიცხოვანი მიტინგის მონაწილეებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ქალაქ სოხუმში, კონსტიტუციის სახელობის მოედანზე, ერთხმად მიიღეს შემდეგი დოკუმენტები:**

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას აფხაზეთის მოსახლეობის მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეთა მიმართვა

**საქართველოს** დამოუკიდებლობის ფაქტობრივ აღდგენას კვლავ გადაეღობნენ დესტრუქციული ძალები, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონების უხეში დარღვევით, პარლამენტისა და პრეზიდენტის ღირსების დისკრედიტირებით, მუქარით, შანტაჟით, ბარიკადების აღმართვით, სამხედრო და სამოქალაქო გადატრიალების მცდელობით რთული პოლიტიკური ვითარება შექმნეს. მათი მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც პოლიტიკური ბრძოლის კანონიერი ფორმები, როგორც ოპოზიცია, არამედ გახლავთ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ქმედება, რაც კანონით იკრძალება.

კვლავ დაირღვა ცხოვრების რიტმი, კვლავ დაუპირისპირდნენ ადამიანთა მთელი ჯგუფები ერთმანეთს, კვლავ ფსიქოზს მოუცავს მთელი მოსახლეობა, არის სამოქალაქო ომის საშიშროება და ამას დასასრული არ უჩანს.

ამიტომ მიტინგის მონაწილენი მოვითხოვთ: საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ და მთავრობამ იმოქმედონ კანონების სრული განხორციელებით, დაუყოვნებლივ დაამყარონ საზოგადოებრივი წესრიგი, წაუყენონ ყველა უწყებას მოთხოვნა კანონმდებლობის დაცვის შესახებ. მიტინგის მონაწილენი ამავე დროს მოვითხოვთ: სესიამ შეიმუშაოს ღონისძიებანი ეროვნული თანხმობის მიღწევის და მისი განხორციელების შესახებ.

მოვუწოდებთ ყველა დეპუტატს იხელმძღვანელოს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს, ქართველი ერის უზენაესი ინტერესებით, ეროვნული თანხმობისა და მშვიდობის დამკვიდრების იდეალებით.

ვიცით ჭეშმარიტება — მატიანე ყველას მოქმედებას პირუთვნელად აღნუსხავს და შეაფასებს.

ღმერთი შეეწიოს სრულიად საქართველოს!

საქინფორმი.

# აფხაზეთში მოქმედ ოპოზიციურ პარტიებსა და ორგანიზაციებს

**ძვირფასო** მეგობრებო! მოგმართავთ საქართველოსთვის ესოდენ მძიმე წუთებში, როდესაც მთელი ქართველი ერი განსაცდელშია. წინააღმდეგობა, რომელიც დღითიდღე იზრდება და მივყავართ კატასტროფისკენ, ყოველი ჩვენთაგანისაგან მოითხოვს მაქსიმალურ გონიერებას, ემოციების მოთოკვას და სიტუაციის რეალურ შეფასებას.

რეალობა კრიზისულია, და რაც უფრო სავალალოა, ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა მდგომარეობიდან გამოსვლის სანუგეშო პერსპექტივა. თბილისში შექმნილი დღევანდელი ვითარება ყველა ჩვენგანს გვირთულებს აფხაზეთში არსებულ პრობლემებს და ამიტომაც, როგორც არასდროს, გვმართებს ურთიერთგაგება და თანადგომა, რათა გამოინახოს დაძაბული სიტუაციის განმუხტვის გზები.

კარს მომდგარია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელიც გვავალებს ძალების მაქსიმალურ დაძაბვას.

ძვირფასო მეგობრებო! დროზე გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი, რამეთუ შთამომავლობა და ისტორია არ გვაპატიებს შეგნებით თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომებს.

**სოხუმი**

**1991 წლის 19 სექტემბერი.**

# სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის განცხადება

**საქართველოს** რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ასოციაციის მთავარი კომიტეტი უფლებამოსილია განაცხადოს შემდეგი:

ვინაიდან 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები და ამით გაბატონებული კომუნისტური რეჟიმი დაემხო, ვინაიდან 1991 წლის 31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობაში და ცალსახად წარმოჩნდა მისი შედეგები, რომ საქართველოს სურს დამოუკიდებლობა, ვინაიდან 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ვინაიდან 1991 წლის 26 მაისს საყოველთაო პირდაპირი ფარული კენჭისყრით აირჩიეს პრეზიდენტი, ამჟამად კი ყოველივე ამას შექმნა საშიშროება და მცდელობა ისტორიის უკან დახევისა, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ: სამოქალაქო მშვიდობას, პოლიტიკურ სტაბილიზაციას, ჭეშმარიტი ეროვნული ძალების კონსენსუსს;

წინააღმდეგ შემთხვევაში ამ აზრების გაუთვალისწინებლობას, სახელმწიფო კანონიერი ხელისუფლების გადატრიალების მცდელობას, ჩვენ მივიჩნევთ ერის წინაშე უმძიმეს დანაშაულად და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის უხეშ დარღვევად, რამეთუ ამ დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია: „ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა, ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში ფარული კენჭისყრით“.

ღმერთი ფარავდეს მთელ საქართველოს.

**სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის მთავარი კომიტეტი.**

ქ. თბილისი

**1991 წელი 18 სექტემბერი.**

# საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მიმართვა მოსახლეობისადმი

**დღეს** საქართველოში, კერძოდ, თბილისში, მეტად დაძაბული მდგომარეობაა, — ძალთა დაპირისპირება და მწვავე კონფრონტაცია. ყოველივე ამას, თუ იგი დროზე არ მოგვარდა, შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები.

1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის თანახმად, სამოქალაქო თავდაცვა ჰუმანური ამოცანების შემსრულებელი ორგანოა. მან უნდა დაიცვას სამოქალაქო მოსახლეობა საშიშროებისაგან, აღკვეთოს უბედურება და შექმნას აუცილებელი პირობები მათ გადასარჩენად.

ვითვალისწინებთ რა ამას და იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა თბილისში 1991 წლის 2 სექტემბრის ინციდენტის შედეგად, სამოქალაქო თავდაცვის მუშაკები ყველა დაპირისპირებულ ძალას, მოსახლეობას დაბეჯითებით თხოვენ შეწყვიტონ ყოველგვარი ძალმომრეობა და დავა მშვიდობიანი დიალოგით გადაწყვიტონ.

მოვუწოდებთ ყველა ქართველს, რესპუბლიკის მოსახლეობას, საქართველოსათვის ამ მეტად მძიმე ჟამს გამოიჩინონ წინდახედულება და გონიერება.

თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი დაპირისპირება, წმინდად დავიცვათ ჩვენი წინაპრების ისტორიული ტრადიცია ხალხთა ძმობის, მშვიდობისა და სიყვარულისა. თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს სჭირდება მხოლოდ გონიერი, ურთიერთმოყვარე და მშრომელი ადამიანები. ვიყვეთ ასეთები.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**მიმართვა მიღებულია საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მუშა-მოსამსახურეთა შეკრებაზე**

**1991 წლის 17 სექტემბერს**

საქართველოს
სესიის

**სურათებზე: სესიის მსვლელობის დროს; სხდომათა დარბაზში და მთავრობის სახლის წინ.**

ზიზი პიკაძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ჯაბარ ლომაძის ფოტო.

# მიტინგები

## მთავრობის სახლთან

**19 სექტემბერს** მთავრობის სახლთან გაიმართა დიდი მიტინგი. ამჯერად, მიკროფონთან არ გამოსულა არც მრგვალი მაგიდის, არც უზენაესი საბჭოსა და არც პარლამენტის არც ერთი წარმომადგენელი. ეს იყო მიტინგი, რომელიც მთლიანად ხალხმა ჩაატარა. საზოგადოებრიობის რიგითმა წარმომადგენლებმა, იმ ადამიანებმა რომლებიც ხშირად რჩებიან ხოლმე რადიოს, ტელევიზიისა და პრესის მიღმა. მათ მოქმედებაზე კი ერის ბედია დამოკიდებული.— იყო ემოციებიც... ლექსებიც... მოწოდებები ერის მთლიანობისაკენ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ქართველებმა თუ არაქართველებმა გამოხატეს თავიანთი თანადგომა ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტისადმი. მიტინგის ბოლოს, გუშინდელი სესიის მიმდინარეობის შესახებ ილაპარაკა ბატონმა რობერტ პეტრიაშვილმა — აღნიშნა რომ 19 სექტემბრის სესია, რომელზეც თავისი აზრი გამოთქვა ყველა პარტიისა და ფრაქციის წარმომადგენელმა მეტად კონსტრუქციული იყო.

მიტინგი გვიან ღამემდე გაგრძელდა.

## ტელევიზიასთან

**მიტინგი** გრძელდება, ტელერადიო დეპარტამენტის შენობა პიკეტირებულია, ჟურნალისტების ნაწილი გაფიცულია.

სიტყვით გამოვიდნენ ზაზა ქინქლაძე, ლევან ლენჯილია, ნუგზარ ჯუღელი. მათ თავისი პოზიცია გააცნეს მსმენელებს და აუწყეს, რომ ხვალიდან შეწყვეტენ მოქმედებას საქართველოს თეატრები და მათი მოღვაწეთა კავშირი შეუერთდება ოპოზიციას. განმარტეს, თუ როგორ ახერხებს ხელისუფლება სატელევიზიო გადაცემებს.

გამომსვლელებმა პრეზიდენტის ერთ მხარეს მდგომ ხალხს უწოდეს განაწყენებული, ხოლო მეორე მხარეს ნაამები საზოგადოება. აღინიშნა, რომ დაუკავშირდნენ თანამოაზრეებს მოსკოვში და გაიგეს შევარდნაძის და გორბაჩოვის დაპატიმრების შესახებ, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ითქვა, რომ გავრცელდა ჭორი თითქოს ზვიად გამსახურდია დატყვევებულია თავის რეზიდენციაში და მის გასათავისუფლებლად უნდა ჩამოვიდნენ რაიონებიდან.

მიტინგზე მოისმინეს აზრი მწერალთა კავშირის გაუქმების თაობაზე.

ლევან ლენჯილიამ აღნიშნა, რომ მთავრობა ოპოზიციას მოლაპარაკებას სთავაზობს, მაგრამ იმის გამო, რომ მრავალჯერ გადაწყვეტილი მოლაპარაკება პრაქტიკულად არ შედგა, უარს აცხადებენ ყოველგვარ შეხვედრებზე.

ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ ტელევიზია არ უჩვენებს ოპოზიციის მიტინგს. ითქვა, რომ ჟურნალისტები, რომლებიც ოპოზიციის მხარეს დგანან ის ხალხია, ვინც პრესაში თუ ტელევიზიაში რამდენიმე ათეული წელი იმუშავა, ხოლო ხელისუფლების მომხრე ჟურნალისტებს რამდენიმე კაცის გამოკლებით, ჯერ ფასეული არ შეუქმნიათ.

ზაზა ქინქლაძემ თქვა, რომ ამ დღეებში იყო მოწოდება სამოქალაქო ომისაკენ, ოპოზიციის განადგურებისაკენ. ოპოზიციის ჩაქოლვისაკენ, რომ პრეზიდენტს სიმშვიდის და სტაბილიზაციის არავითარი სურვილი არა აქვს. (ალბათ ბევრმა მოუსმინა გუშინ ტელევიზიით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლას. რესპუბლიკის პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო ეს ბრალდებები).

კომენტატორმა ნუგზარ ჯუღელმა მოითხოვა ტელერადიო ჟურნალისტთა თავისუფლება.

მომიტინგეებმა გარეთ გამოტანილი ტელევიზორის საშუალებით ნახეს გადაცემა „ვესტი“, სადაც ნაჩვენები იყო საკმაოდ დიდი მასალა საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ცალსახად, ოპოზიციის მხრიდან.

მოისმინეს ირინე სარიშვილის ჩანაწერი, სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ როგორც ქალი გათავისუფლებულია პატიმრობიდან, მაგრამ იგი აგრძელებს შიმშილობას თავისი დაკავებული მეგობრების გასათავისუფლებლად.

●

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან კვლავ გრძელდება მჯდომარე საპროტესტო აქცია, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ.

●

**ბონდო დვალიშვილის** (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და **ვარლამ ბენზიურის** ფოტო.



# პოზიცია

## მიმართვა

### საქართველოს მოსახლეობას, ხელისუფლებას, ოპოზიციას

**ახალგაზრდობის** გარკვეული ნაწილი, თავს უფლებას ვაძლევთ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართულმა ამბიციურმა ურთიერთქიშპობამ, „ომობანას თამაშმა“ გარკვეული დროით (დიდი ხნით თუ არა!) გადასდო დამოუკიდებლობის საკითხი. ასეთმა მოქმედებამ შეიძლება ქართველ ერში ჩაკლას ეროვნული გრძნობები და ხალხი მიიყვანოს კატასტროფამდე. საქართველოს ისტორიაში ყოფილა უფრო მწვავე პოლიტიკური კრიზისი, მაგრამ ამგვარ სიტუაციაში ქართველ კაცს ყოველთვის მოუნახავს გზა ხსნისა. როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა?

**შემოგვაქვს რამდენიმე წინადადება:**

1. 25 სექტემბერს მოწვეულ იქნას ეროვნული თავყრილობა, დაუყოვნებლივ ყველა პოლიტიკური გაერთიანების მონაწილეობით.

2. თავყრილობამ წამოაყენოს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა, მიმართული საკავშირო ხელისუფლებისადმი.

3. თავყრილობამ მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიიდან საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანა.

4. პრეზიდენტის მიერ დათხოვნილ იქნას უზენაესი საბჭო და არჩევნები დაინიშნოს არაუგვიანეს მარტის თვისა.

5. პარლამენტის არჩევნებამდე ქვეყანა მართოს პრეზიდენტმა და მასთან შეიქმნას საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან ყველა პარტიის, ბლოკის და ფრაქციის წარმომადგენლები.

6. შეწყდეს ურთიერთ ლანძღვა, რამეთუ ასეთი საქციელი სახელს გვიტეხავს ცივილიზებული სამყაროს თვალში.

7. გამოცხადდეს ტელე-რადიო დეპარტამენტი დამოუკიდებელ კომპანიად.

8. ხელისუფლებამ და ოპოზიციამ დაგმოს ე. შევარდნაძის ჩარევა ჩვენი სამშობლოს საშინაო საქმეებში.

**დიდება ღმერთს!**

**საქართველო, უპირველეს ყოვლისა!**

**საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილის სახელით:**

**გიორგი ტაბიძე,**
**არჩილ მორჩილაძე.**

1991 წ. 14.09.

## გაიფიცნენ ჟურნალისტები

**17 სექტემბრიდან** გაფიცულია გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქციის ხუთი ახალგაზრდა ჟურნალისტი. ისინი აქციას აწყობენ რუსთაველის პროსპექტზე №42-ში, რედაქციის ცენტრალურ შესასვლელთან.

გაფიცულ ჟურნალისტთა მოთხოვნებია: ძირფესვიანად შეიცვალოს გაზეთის კონცეფცია, შესრულდეს ამჟამად მოქმედი კანონი პრესის შესახებ, გადადგნენ გაზეთის მთავარი რედაქტორი ია მუხრანელი და მისი მოადგილე ზურაბ ბერიძე. გარდა ამისა, წ მოყენებულია ტელეჟურნალისტის გიორგი ხაინდრავას განთავისუფლების, იმ უპატიოსნო ჟურნალისტების დაკავებული თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის აპოლოგეტები იყვნენ და „ფერი იცვალეს“ ახალ პირობებში. თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდება, ჟურნალისტები შიმშილობის დაწყებას აპირებენ.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**საქინფორმის კორ.**

# თვალსაზრისი

**დრო ძალიან აჩქარდა. უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ენაცვლებიან ერთმანეთს. ძნელია მათში აბსოლუტური სიზუსტით გარკვევა, სწორი დასკვნების გამოტანა, გათვლილი სამომავლო ანალიზი. ასეთ დროს, დამღუპველია პირველ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობა, ემოციებითა და ტაშით აზროვნება. მოსკოვის პუტჩის ზურაბ ახკანელისეული ანალიზი, ჩვენი რწმენით, საკმარისად დამაჯერებლად ააშკარავებს იმ კულისებს, რომლებიც აზმაურებული სცენის მიღმა შეუიარაღებელი თვალისთვის ნაკლებად ჩანს. რაც მთავარია, მკითხველს ყოველივე ეს საქართველოსთან დაკავშირებით უეჭველად დააინტერესებს. ფაქტია, რომ ყველაფერი ის, რაც მეზობელ რუსეთში ხდება პირდაპირ კავშირშია ჩვენს ხვალინდელ დღესთან.**

## ჩრდილოეთის დათვის მეზობლობაში

**„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!“** —

თუ რომელიმე სახელმწიფოსა და ეპოქას ესატყვისება აზდაკის ეს ბრძნული შეგონება, პირველ ყოვლისა — რუსეთს და მის დედაქალაქში გამართულ აგვისტოს სისხლიან მღელვარებებს.

რუსეთში პუტჩისტების სამდღიანი ომი დამთავრდა; რუსებში ჩამოვარდნილი პუტჩისშემდგომი მშვიდობისა გეშინოდეთ, იმპერიის ხალხებო!

ჩვენ მაინც ნუ ვიქნებით „მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის“ გულუბრყვილობის თანაზიარნი. ნუ ვუფრთხით უგუნურთა, ბოროტმოქმედთა, უქეთუ გონიერნი არიან საშიშნი!

მთელი ქვეყნიერება ელდანარევი მოუთმენლობით ელოდა მოვლენათა განვითარებას; მთელი მსოფლიო იმაღლებდა ხმას პუტჩისტების წინააღმდეგ. არადა, ГКЧП-ს ისეთი რა უნდა ჩაედინა, რაც დღემდე არ მოსწრებია საბჭოეთის ისტორიას? დაიწყებოდა ჩვეულებრივი, საყოველთაო სახალხო ტერორი, ჩატარდებოდა მასობრივი რეპრესიები და დაპატიმრებები, გადასახლების შორეულ გზებს გაუყენებდნენ სხვაგვარად მოაზროვნე ყველა ადამიანს — რით იქნებოდა ყოველივე ეს განსხვავებული, ვთქვათ, 1937 წლის მოვლენებისაგან?

არაფრით!

სამაგიეროდ, მათი მმართველობის ხანმოკლე პერიოდს, მართალია, უფრო დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ, უცილობლად მოჰყვებოდა **მსოფლიოს საბოლოო გაწმენდა კომუნისტურ-შოვინისტური ფრჩხილებისაგან**: დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური და, რაც მთავარია, ქვეყნის საბედისწერო ფინანსურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, თიხის ფეხებზე შემდგარი გოლიათი ერთბაშად დაიშლებოდა უმცირეს შემადგენელ ნაწილებად უმარტივესი სცენარით — ჯერ საბჭოთა იმპერიის ერთსა და იმავე დროს მშიერი და გამოღვიძებული ერები აღუდგებოდნენ წინ ტირანიას და მერე მათ მხარს აუბამდნენ ერთ დროს მტრულად დასახული „ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური“ სახელმწიფოები, რომლებიც რეალურად შეაფასებდნენ ცივილიზაციის ტოტალური განადგურების საფრთხეს და საერთო ძალისხმევით ისე დაამხობდნენ კაცთმოძულე იმპერიას, რომ რუსული ენა წამლადღა შერჩებოდა ტვერისა და ტულის გუბერნიებს!

ერთბაშად შვებას იგრძნობდა და ამოისუნთქებდა მთელი მსოფლიო!

დღეს კი რა მოხდა? „თეთრი სახლის“ ირგვლივ დატრიალებული მოვლენების შედეგად სწორედ იმ ადამიანებმა დაიბრუნეს გვარიანად შეფერთხილი ავტორიტეტი და ისევ იმათ გაიმაგრეს პოზიციები, ვინც თავად იყვნენ მომხდარის ფარული ინსპირატორები და „პერესტროიკის მამების“ ზედწოდებით დასაბამიდანვე სათავეში ედგნენ დაშლის პირას მიმდგარი იმპერიის მოდერნისტულ ყაიდაზე გარდაქმნას. დიდოსტატურად გათამაშებული ტრაგიკომიკური ფარსით, მათ გზიდან ჩამოიცილეს ყველა ის წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლიდათ თავიანთი შორსგამიზნული გეგმის განხორციელებაში:

**პირველი და უმთავრესი სიძნელე** მომავლის სათავისოდ გარდაქმნილი სახელმწიფოს შექმნის გზაზე ელობებოდათ კონსერვატორების სახით, რომლებიც პარტოკრატიისა და რუსოფილების ერთის შეხედვით გაურკვეველ, მაგრამ ზიარი ფესვებით ნასაზრდოებ იდუმალ ერთობას ქმნიდნენ. ზემოთ აღნიშნული ფსევდოდემოკრატებისაგან განსხვავებით, ისინი სრულიადაც არ იჩემებდნენ ერთა თანამეგობრობაზე დაფუძნებულ კონფედერაციის ან ფედერაციის შექმნას და უნიტარული რუსული სახელმწიფოს ნიღაბახდილი ადეპტები იყვნენ. პანსლავისტური იდეებით შეიარაღებული რუსოფილები თავიანთი ბრიყვული გულახდილობით; ხოლო პარტოკრატები — სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში შეზღუდულობით აღიზიანებდნენ „პერესტროიკის მამებს“. საჭირო იყო მათი გზიდან ჩამოცილება და ერთნიცა და მეორენიც თავიანთ სიტლანქესა და გონებაბრჯგუობას წამოაგეს: წააქეზეს, ვითომ გადატრიალება მოახდინინეს და საკუთარი ხელით დაგებულ მახეში გააყოფინეს თავი!

ეს მათ **მეორე სიძნელის** გადალახვაში დაეხმარათ, რაც ბალტიის ქვეყნების სტატუსის განსაზღვრაში მდგომარეობდა: საზღვარგარეთის ქვეყნების ნდობის მოსაპოვებლად და მათთან კულტურული და ეკონომიკური კავშირების ფართოდ გასაშლელად საჭირო იყო ბალტიისპირა რესპუბლიკების დათმობა, რადგან მეორე მსოფლიო ომის წინანდელ მათ ანექსიას არ სცნობდა თავისი თავის პატივისმცემელი არც ერთი ქვეყანა. ასეთი დიდსულოვანი გადაწყვეტილების მიღება წარმოუდგენელი იყო პარტოკრატებისა და რუსოფილების ზეობის პირობებში. წარუმატებელი პუტჩის შემდეგ კი, ამ უკანასკნელთ პრეტენზიების აღარც თავი უნდა ჰქონოდათ და აღარც უფლება.

და ბოლოს, კიდევ ერთი **სიძნელე**, ურჩი ავტონომიები შეადგენდნენ. დიდი მისნობა არ იყო საჭირო მისახვედრად, რომ არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილო რუსეთის ავტონომიები პოლიტიკური კატაკლიზმების დროს მხარს დაუჭერდნენ ნებისმიერ იმ ძალას, რომელიც მათთვის საძულველ მთავრობას დაამხობდა. მათი შესაძლო რეაქცია წინასწარვე იყო გათვლილი — ისინი აუცილებლად პუტჩისტებს მიემხრობოდნენ. ხოლო ამის შედეგად, სახელმწიფოს მეთაურებს უფლება მიეცემოდათ საკუთარი მთავრობის უარმყოფელი ავტონომიები სამაგალითოდ დაესაჯათ!

მართლაც, ყოველივე ჩაფიქრებული სცენარის მიხედვით ჩატარდა და „პერესტროიკის მამებმა“ სამომავლოდ მოქმედების სრული თავისუფლება მოიპოვეს.

შესაძლოა ვინმემ სადაოდ დასახოს სხვადასხვა პრობლემების: ბალტიისპირეთისა და ავტონომიების საკითხში ორი სხვადასხვა მთავრობის — საბჭოთა კავშირისა და რუსეთის — საქმიანობათა ერთმანეთში აღრევა, მაგრამ თუ კაცი თავს არ მოიტყუებს, არც მათი ფარული ალიანსის ამოცნობა გაუჭირდება. ისინი თავიანთ წინამორბედებთან, თუ ყოფილ ამჟამად უკვე სახელგატეხილ, თანამზრახველებთან შედარებით გაცილებით უფრო დახვეწილი, რაფინირებული ხერხებით ცდილობენ იმ რუსული იმპერიული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, რომელმაც საბჭოური ფორმით უკვე მოჭამა თავისი დრო. ჯერ ხომ ისედაც იჩემებდნენ თავისი და სხვა ხალხების კეთილდღეობაზე მზრუნველთა როლს და ახლა, ტრიუმფატორების როლში გაცილებით უფრო საშიშნი ხდებიან მთელი მსოფლიოსთვისაც და, მით უფრო, იმპერიისგან დამონებული ხალხისათვის, ვიდრე იმ უდღეური პუტჩის უბადრუკი მეთაურები. ეს საშიშროება იმით გახლავთ განპირობებული, რომ გამარჯვებულის უფლებით ისინი მეტი სითამამით ჩაებმებიან გარეშე და შინაური პრობლემების გადაწყვეტაში და ღმერთმა დაიფარის, თუ რაიმე ულტიმატუმი მათებურად არ შესრულდა: ისინი ბავშვურ სამხედრო თამაშობებს კი აღარ მოაწყობენ, სერიოზულად შეაჯანჯღარებენ მსოფლიოს და საზიფათოდ აათამაშებენ თითებს ატომური იარაღის ღილაკებთან.

ასე რომ, პუტჩისტები გაიმარჯვებდნენ თუ „პერესტროიკის მამები“, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი, ანუ მომავალი ხელისუფლების სახე მაინც არ შეიცვლებოდა: „ყველა ერს ისეთი მთავრობა ჰყავს, როგორსაც ის იმსახურებს!“ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღწერდა **მარკიზ დე კიუსტინი** რუსების „თითქმის ცრურწმენამდე მისულ სიყვარულს მთავრობის მიმართ“, „ხალხის მხრივ მტარვალების წინაშე მორჩილებას და მტარვალების მხრივ ხალხზე ბატონობის მანიას“ ისე, რომ მათ ისტორიაში დროდადრო წარმოშობილი ბუნტები: ბოლოტნიკოვისა და პუგაჩოვის გლეხურიდან დაწყებული და დეკაბრისტების ელიტარულით დამთავრებული, მხოლოდ ერთი დესპოტური რეჟიმის მეორეთი შეცვლას ისახავდა მიზნად და ეს დემოკრატიის მონაპოვრად ცხადდებოდა. რუსი კაცი სხვისას ბატონი კი იყო, მაგრამ თავისი ქვეყნის შიგნით მონად რჩებოდა მუდამ.

სწორედ რუსი ხალხის დღემდე შემორჩენილი მონური ფსიქოლოგიის გავლენითაა, რომ მათ სახელმწიფოს იგივე ხალხი მიუძღვის წინ, ვინც ფაქტიურად 19-21 აგვისტოს ტრაგედია მოუწყო! თუ ანალოგიას მოვიშველიებთ, რუსეთში დღეს ისეთი სურათია, საქართველოში რომ ის პიროვნებანი დაგვეტოვებინა ხელისუფლების სათავეში, ვინც სამთავრობო გადაწყვეტილებით 9 აპრილის სისხლისღვრა დაგვიგეგმა და ახლა რუსეთს აფარებენ ემიგრანტებად თავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირიც არ არის, რომ რუსულმა ეროვნულმა ფსიქოლოგიამ თავი იჩინა მათი პრეზიდენტის არჩევისას, როცა ამ პოსტზე გზა დაულოცეს ყოფილ **პარტიულ ფუნქციონერს** ბორის ელცინს. და იმის მაგივრად, რომ თავისი გაჭირვება იტირონ, აქეთ ჩვენ მოგვდგებიან და „კომსომოლსკაია პრავდა“ (დააკვირდით — რუსეთში ვითომ კომპარტიასაც კი აუქმებენ და გაზეთს დღემდე **„კომსომოლსკაია“** ჰქვია) ათავსებს წერილებს რუბრიკით: „ორი რესპუბლიკა — ორი შეხედულება დემოკრატიაზე“, სადაც ქართველებისათვის ცდილობენ ნიშნის მოგებას — აი, ჩვენ ელცინი ავირჩიეთ, იმათ კი — გამსახურდია! თანაც ისეთი უდრტვინველი უსირცხვილობით, თითქოს იმათ კი არა, ჩვენ აგვერჩიოს პრეზიდენტად ათეისტი და ნაპარტიულფუნქციონერალი!

მაგრამ, როდესაც იმპერიის საინფორმაციო საშუალებები ზვიად გამსახურდიას ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებენ, მათ მართლა ის კი არ აღარდებთ, ტირანია იგი, დესპოტი თუ დიქტატორი; თუ გნებავთ, ამით ზვიად გამსახურდიასაც კი არ აყენებენ პიროვნულად შეურაცხყოფას; ისინი, როგორც, საზოგადოდ სჩვევიათ, სრულად ქართველ ერს ცდილობენ ჩირქი მოსცხონ, რადგან მთელმა მსოფლიომ იცის, რომ გამსახურდიას არჩევნებში ხმა მისცა ქართველობის 87-მა პროცენტმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმპერიას კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება ქართველებს ბრალად დასდოს მონური ფსიქოლოგია, რადგან თუ ერის 87 პროცენტი დიქტატორს აძლევს ხმას, ისედაც მონა ყოფილა და არც არის ღირსი თავისუფლებისა! ეს ყოველივე მთლიანად ესადაგება მათ მიერ ერთხელვე დასახულ საქართველოს დისკრედიტაციის გზას, თორემ ის უკვე სხვა საკითხია, რომ მსგავსი საქციელი ფსიქოლოგიაში პროექციის სახელით არის ცნობილი და გამოიხატება სხვისთვის იმ თვისებების მიკუთვნებაში, რაც დამბრალებელს ახასიათებს!

მაგრამ გარდა ეროვნული შეურაცხყოფისა, მსგავსი განქიქება კრემლს კიდევ იმიტომ აქვს მიზნად დასახული, რომ კარგად უწყის პრეზიდენტის სტატუსის მნიშვნელობა რესპუბლიკური საქართველოსთვის — იცის, რომ მხოლოდ საპრეზიდენტო მმართველობა უნარჩუნებს მას საკუთარ ავტონომიურ წარმონაქმნებს და თუ ერთ მშვენიერ დღეს ქართველობა უარს განაცხადებს ამგვარ ხელისუფლებაზე, ავტომატურად **უარს აცხადებს საკუთარ ავტონომიაზეც** (რადგან ამ უკანასკნელთ თავადაც მოეპოვებათ ხელისუფლების თვითმმართველი ორგანოები უზენაესი საბჭოების სახით), რომელთაც რა ხანია მტაცებლური თვალებით ზვერავს ჩრდილოეთის სამიზნეებიდან.

მაგრამ ავტონომიები რა მოსატანია იმასთან შედარებით, თუ რას გამოელის რუსეთი საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების აღკვეცით — სამაგალითოდ, მათგან ჩვენი ქვეყნის ორგზისი დაპყრობაც გამოდგება. 1801 წელს ყველა ხერხითა და საშუალებით აცილეს საქართველოს ტახტს მეფის კანონიერი მემკვიდრე ბატონიშვილი დავითი და 1918-1921 წლებში კი ქვეყნის კანონიერი ხელმძღვანელი ნოე რამიშვილი (ერთადერთი ნაციონალისტი მთელს ესდეკთა პარტიაში!) მოდემოკრატო-კოსმოპოლიტი ნოე ჟორდანიათი შეგვაცვლევინეს, რომელმაც სუსხიან თებერვალში საქართველო ისევ რუსეთს ჩააბარა!

დღეს ისტორია ისევ მეორდება საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, წინაპირობები უკვე შექმნილია — იმპერიამ მიაღწია საწადელს: ქართველები ერთმანეთს წაუსია და საქართველოს საუკუნეობით ნაჯიჯგნი სხეული კიდევ ერთხელ დაგვიყო ორად! მაგრამ ყველაზე დიდი მტერი ჩვენსავე შიგნით, მე-5 კოლონის სახით ჩაგვისახლა, რომელიც იმპერიული ერთობის აპოლოგეტებისაგან შედგება და რომლის წარმომადგენლებიც ორივე მხარეს მრავლად არიან — როგორც პარლამენტში, ისე — მის გარეთ, ოპოზიციაში. არ არის გამორიცხული, რომ ისინი ფარული ალიანსითაც მოქმედებდნენ ქართველი ერის ეროვნული თავისუფლების წინააღმდეგ, რადგან მოახერხეს საქართველოს უპირველეს მიზნად თავისუფლების ნაცვლად დემოკრატიის მოთხოვნა გამოეცხადებინათ და ინტელიგენციის, პოლიტიკოსებისა და სტუდენტობის გარკვეული წარმომადგენლების ტრანსპარანტებზე წამოგებული მსგავსი მოთხოვნების შემცველი ლოზუნგები განწირული კაცის დახმარების სათხოვრად გაშვერილ ხელებს ჰგვანან, რასაც დაუყოვნებლივ ეხმაურებიან დანიშნულების ადგილზე: ჩვენს თვალწინ, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატების თავყრილობა ძველებური ინტერნაციონალური მოვალეობის მაღალი შეგნებით გადაწყვეტილებას იღებს დახმარების ხელი გაუწოდოს ოსეთსა და აფხაზეთს იქ ეროვნული ჩაგვრის აღმოსაფხვრელად და **საქართველოს დედაქალაქში — დემოკრატიის აღსადგენად**! დღეს სხვა დროა და როგორღაც ადგილი აღარ არის სოციალისტური რევოლუციების მხარდაჭერისათვის. სამაგიეროდ დემოკრატიის აღდგენაში მონაწილეობა დიდად საპრესტიჟო გახლავთ, რასაც წარმატებით გაართმევენ თავს ფარაჯიანი მისიონერები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დამყარების შესანიშნავი გამოცდილება გააჩნიათ!

მაგრამ იქნებ უკვე დადგა დრო, როცა მსგავსი საშიშროება საბოლოოდ უკუგდებულად და წარსულის გადმონაშთად შეიძლება ჩავთვალოთ? ზემოთაც მოგახსენეთ და კიდევ გავიმეოროთ: ბალტიისპირეთის მაგალითი ნუ გვაცდუნებს! ბალტიის ქვეყნების ანექსია არასოდეს არ უცვნიათ დასავლეთის სახელმწიფოებს და ამ რესპუბლიკებს აღიარების მხრივ დღეს არაფერი მომატებიათ. მხოლოდ რუსეთი შეურიგდა მათ დაკარგვას — ეს იყო და ეს! ჩვენი და ყოფილი სსრკ-ს იმ რესპუბლიკების ბედი ძევს ისევ სასწორზე, რომლებმაც სხვადასხვა დროს დაკარგეს თავისუფლება და ასევე სხვადასხვა ვითარებაში დაისახეს იმპერიიდან გასვლა. ნიშანდობლივია, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების ცნობის შემდეგ, ყველას ერთად შემოუტია ტყავგამოცვლილმა კრემლის ხელისუფლებამ: მოლდაველებს პრიდნესტროვიე აუმხედრა ხელახლა, უკრაინელებს — ყირიმელი თათრები და ყაზახებს საზღვრების გადასინჯვით დაემუქრა!

ასე რომ, ჩრდილოეთის დათვი ცოცხალია და, ვინ იცის, დღეს კიდევ უფრო მეტი მძვინვარებითა და გაბოროტებით უვლის გარს თავის შეძარცვულ სამფლობელოებს. თანაც მუცელი ჰგვრემს და მშიერ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. მაგრამ, აგერ, ელცინმა უკვე გაგზავნა დესპანები იაპონიაში. გარეშეთა თვალის ასარიდებლად ისიცა თქვა: კუნძულებზე არ ვილაპარაკებთო. მაგრამ დიპლომატიას ხომ მალვა უყვარს სიყვარულივით. მშიერ დათვს სხვა რა უნდა უნდოდეს, სარჩოსაბადებლის გარდა? გადაუგდებს ამ კუნძულებს იაპონიას, სულს მოითქვამს, მოღონიერდება, და მერე თავისი საცხოვრისის შემომტკიცება იქნებ სწორედ ჩვენი მიწა-ალაგებით დაიწყოს!

ჩვენ კი ამ დროს ეს დათვი ცოცხალი აღარ გვგონია, მისი ტყავის გაყოფაში ვეცილებით ერთმანეთს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დავრევივართ მოძმენი მოძმეთ. არც კი გვაგონდება, წარსულშიც რამდენჯერ მიგვიჩნევია მკვდრად. მას კი სწორედ ამ დროს ერთი კარგად გაუზმორებია, ტორი დაუკრავს თავში და დიდი ხნით ძალ-ღონე გამოუცლია ჩვენთვის!

ღმერთმა ნუ ქნას კიდევაც ვქცეულიყავით მის საკბილოდ და ისე, როგორც ვაჟას ლექსშია აღწერილი, ქადილით ეთქვას:

**„თქვე უჟუნო, უგუნურნო, —**
**მოგვაძახა დათვმა ეხა: —**
**გატურნულს რომ მატყავებდით,**
**შეგარჩენდით თქვენ ჩემს**
**ლეშსა?!“**

**ზურაბ ახკანელი**

# მისმინეთ

## შეჩერდით, ძმებო!

**მძიმე**, ძმათაგამთიშველი დღეები დაუდგა საქართველოს. ქართველები ახლა უფრო ზიზღითა და გაბოროტებით მივჩერებივართ ერთმანეთს, ვიდრე ჩვენ მოგვჩერებიან ჩვენი დაუძინებელი მტრები, შავ-ბნელი ძალები. მტრები ხითხითებენ და საათზე იყურებიან, როდის დავერევით და სისხლში ჩავახრჩობთ ჩვენს სამშობლოს, მის დღევანდელობას და მომავალს. ამასაც მოვესწარით! რამ დაგვიბნელა ცნობიერება, რა სატანა ჩაგვჯდომია სხეულსა და გონებაში? ნუთუ არსებობს უფრო ძვირფასი, უფრო მაღალი დემოკრატია, პარტიულობა, პოზიცია, ოპოზიცია, ტახტი, ვიდრე საქართველოს თავისუფლება, ვიდრე ჩვენი ურთიერთ ძმობა და სიყვარულია. ნუთუ ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა იმისთვის იღვაწეს და იომეს 25 საუკუნე, რომ წყალს, ღვარცოფს გავატანოთ ყოველივე. ნუთუ დღევანდელი ჩვენი ერთმანეთის დარევა, ლანძღვა, მუქარა, ჩასაფრება, შეურაცხყოფა ეკადრება დიდი დავითის, თამარის, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის შთამომავალთ?

შეჩერდით, ძმებო! მოუხმეთ გონიერებას, სიბრძნეს! ნუ გავახარებთ მტერს, ნუ შევაჩვენებთ და ნუ გავწირავთ ჩვენი მამა-პაპის ძვლებს.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო ოპოზიციონერებო! მიუსხედით მრგვალ მაგიდას მშვიდობიანი, ადამიანური, კაცური დიალოგისათვის, ეროვნული პრობლემების ჰქვიანური გადაწყვეტისათვის. ნუ გადავაყოლებთ ნაბან წყალს იმ პატარა ანგელოზს, რომელსაც საქართველო, ქართული ჯიში და გენი ჰქვია.

გთხოვთ, შეისმინოთ ჩვენი თხოვნა, ჩვენი ვედრება. **800 არაგველის სახელით:**

**ხვთისავარ არჩემაშვილი,**
**კობა არაბული,**
**გიორგი ცოცანიძე,**
**შოთა ქავთარაძე,**

17. IX. 1991 წ.

## ხიდი

# მიღწევა სომხეთში

**ერევნიდან** მიღებული ცნობა მოკლე, ლაკონიური და ამავე დროს ფრიად სასიხარულო იყო. იგი იტყობინებოდა, რომ სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სხდომამ დაამტკიცა სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების ხელშეკრულება, რომ ეს სხდომა ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო იყო პარლამენტარებისათვის, რომლებიც, ფეხზე ამდგარნი, დიდხანს უკრავდნენ ტაშს ერთხმად მიღებულ დადგენილებას.

სომხეთის რესპუბლიკამ, რომელმაც ჯერ კიდევ 27 ივლისს მოაწერა ხელი ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკასთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ძირითად პრინციპებზე, ცნო თითოეული მხარის განუყოფელი უფლება, ჰქონდეთ სახელმწიფო დამოუკიდებლობა, და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მხარი დაუჭიროს თანამოძმეებს სიმართლისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ყველაზე მძიმე, ყველაზე საჭირბოროტო გამოცდის დღეებში ქართველები და სომხები ერთმანეთს დასახმარებლად პირველნი ამოუდგებიან ხოლმე მხარში. ასე იყო სტიქიურ უბედურებათა დროს, ასეა დღესაც, დამოუკიდებელ რესპუბლიკათა აღორძინების, იმპერიის უღლიდან თავის დაღწევის მომენტში.

და აი, ერთმანეთისადმი გულწრფელობისა და პატივისცემის, იმ სურვილის კიდევ ერთი გამოვლინება, რომ მზად არიან დაეხმარონ ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის ურთიერთგაგების განვითარებას. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო ფრიად საინტერესო წერილი ერევნელი იურიკ ალაბაბიანისაგან. მომყავს წერილის ტექსტი მთლიანად:

**„პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!**

ღრმად მაქვს რა შეგნებული, თუ რაოდენ საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამყარება სომეხ და ქართველ ხალხებს შორის, გულწრფელად მსურს, რაც შეიძლება მალე შეიქმნას ორივე ქვეყანაში წარმომადგენლობანი, მსურს შეძლებისდაგვარად დავეხმარო ამ ჭეშმარიტად ისტორიულ წამოწყებას.

ამ მიზნით წინადადებას ვიძლევი საქართველოს რესპუბლიკის დესპანის განკარგულებაში გადავცე საკუთარი სახლი მისთვის საჭირო მთელი დროის მანძილზე.

სახლი მდებარეობს ნაირის რაიონის დაბა ეგვარდში, სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახლიდან 22 კილომეტრზე.

შეგნებული მაქვს რა, თუ რაოდენ მოუცლელი ბრძანდებით, სახლის დაწვრილებით აღწერას გიგზავნით ცალკე ცნობით (რათა სპეციალისტებმა შეისწავლონ). განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს: საქმე არ ეხება კომერციულ გარიგებას (მატერიალურად ჩემი ოჯახი სავსებით უზრუნველყოფილია) ამრიგად **ხაზღაურზე საერთოდ ლაპარაკი არ არის!** (ხაზგასმა წერილის ავტორისაა. — რედ.) ჩემი ერთადერთი მიზანია წვლილი შევიტანო დაწყებული პროცესის დაჩქარებაში.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“

შემდეგ ავტორი იუწყება მისამართს და აღწერს სახლის მდგომარეობას. ეს არის ორსართულიანი სახლი თავისი ბაღითურთ, რომელიც 750 კვადრატული მეტრია. სახლს აქვს 16 კვადრატული მეტრი ჰოლი, 40 კვადრატული მეტრი სასტუმრო ოთახი, 16 კვადრატული მეტრი სამუშაო კაბინეტი, სამი ორადგილიანი საძილე ოთახი, სამზარეულო, აბაზანა, დამხმარე სათავსები. ოთახები გაწყობილია ავეჯით, სახლს აქვს ბუნებრივი გაზი, ტელეფონი. სახლის წინ ეკლესიაა.

ი. ალაბაბიანის აზრით, კუბაში სსრ კავშირის საელჩოში ორი წლის სამსახური საფუძველს აძლევს თქვას, რომ სომხეთში საქართველოს დესპანის ცხოვრებისა და მუშაობისათვის პირობები იდეალური იქნება.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ალაბაბიანს გაუგზავნა პასუხი, რომელშიც გულითად მადლობას უხდის ესოდენ მეგობრული გრძნობებით აღსავსე წერილისთვის, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას გამოუგზავნა. ასევე მადლობას მოახსენებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებისადმი გულისხმიერებისათვის.

წერილში ნათქვამია, რომ „საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობას საფუძვლად ედო კეთილმეზობლობის, ურთიერთპატივისცემის, ხშირად კი ურთიერთდახმარების პრინციპები. დღეს დაგვიდგა ნანატრი ჟამი, როცა გაიმარჯვა სამართლიანობამ, როცა სომხეთი და საქართველო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იძენენ“.

შემდეგ წერილში ნათქვამია: „ამ პირობებში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა კავკასიაში ორი ქრისტიანი ხალხის ეროვნული აღორძინების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ექნება საქართველოსა და სომხეთს შორის 27 ივლისს დადებულ ხელშეკრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლა“. კონტაქტები ამ საკითხზე უკვე დაიწყო და, იმედი გვაქვს, რომ საქმე კონკრეტულ ხასიათს შეიძენს. ამიტომაც ეტყობა მალე შეგხვდებით თქვენ და პრაქტიკული თვალსაზრისით განვიხილავთ თქვენ მიერ გამოვლენილი კეთილი ნებისა და გულუხვობის ყველა საკითხს“...

ორი წერილი — და ორივეში გამოხატულია სურვილი ვიყოთ ერთად ჭირშიც და ლხინშიც. უნებურად გებადება აზრი, რომ საქართველოშიც უნდა ვემზადოთ სომხეთის რესპუბლიკის დესპანის შესახვედრად. მეგობრობა გრძელდება, მტკიცდება და ვითარდება.

**რომან ერაძე,**
**საქინფორმის კორ.**

# ჯორჯია: მიიღე ჯორჯიის სალამი

**ორი** ჯორჯია — ამერიკული და ქართული შეხვდა ერთმანეთს ამერიკის კონტინენტზე. 20 სექტემბრიდან ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში დაიწყება საქართველოს დღეები. ეს შეხვედრა ახალ ფურცელს გადაშლის ამერიკის ჯორჯიის შტატისა და საქართველოს ურთიერთობაში, რომელთა პარტნიორული კავშირი ექვსიოდე წლისაა. ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს ამერიკელი და ქართველი მოქალაქეები — „სახალხო დიპლომატიის“ წარმომადგენლები, ორ ქვეყანას შორის გაიდო მეგობრობისა და თანამშრომლობის ხიდი, და ასე, ყოველ წელიწადს იცვლება დელეგაციები, ახალგაზრდები სასწავლებლად. მიემგზავრებიან ატლანტას, გახშირდა ქართველ და ამერიკელ ოჯახებში სტუმრობა. და ყველაფერი ეს ერთ დიდ საქმეს ემსახურება — კეთილი ურთიერთობის დამკვიდრებას, ურომლისოდაც ძნელია ქვეყნად ცხოვრება.

სწორედ ამ კეთილი ურთიერთობის ახალი დასტური იქნება საქართველოს რესპუბლიკის დღეები ატლანტაში. მისი თავისებური „სავიზიტო ბარათი“ გახდება ცნობილი ფოტოჟურნალისტის ბონდო დადევაძის ნამუშევრების გამოფენა „ჩემი საქართველო“.

გამოფენის შთამბეჭდავი პროლოგი კი იქნება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მისალმება ამერიკელი ხალხისადმი. 100-მდე ექსპონატი — შავ-თეთრი და ფერადი ფოტოსურათები ამერიკელებს გააცნობს უძველესი და თავისთავადი კულტურის ქვეყანას — დედამიწის მეორე ნახევარსფეროს სამხრეთით მდებარე ჯორჯიას — საქართველოს, ქართველთა ყოფას, ისტორიულ ძეგლებსა და ამ ქვეყნის განუმეორებელ პეიზაჟებს.

ქართული მრავალსაუკუნოვანი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს, თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებს ამერიკელები მოისმენენ ვოკალური კვარტეტის „ფიროსმანის“ — ომარ ჩიტაიას, მიხეილ მცურავიშვილის, ნოდარ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ გუგუშვილის და რესპუბლიკური მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ანსამბლის „დარიალის“ (თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით) შესრულებით. ქართული ცეკვების მშვენიერებას ეზიარებიან მასპინძლები ანსამბლი „თბილისის“ ქორეოგრაფების მეშვეობით, რომელსაც გივი სიხარულიძე ხელმძღვანელობს. დღეების პროგრამაშია ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშების ჩვენება, ეროვნული კერძების დეგუსტაცია, კინორეჟისორ ალეკო ცაბაძის ფილმების ჩვენება. ერთი სიტყვით, პროგრამა ითვალისწინებს, რაც შეიძლება სრულად გაეცნოს საქართველო-ჯორჯია თავის ამერიკელ სეხნიას.

საქართველოს 40-კაციან დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი მანანა გაბაშვილი.

როგორც ვიცით, ატლანტაში დიდი მღელვარებით ელიან საქართველოს დღეების მონაწილეებს. ასეთი ფართო მასშტაბის შეხვედრა პარტნიორ ქვეყანასთან პირველად ეწყობა — ატლანტაში შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ემზადება ღირსეული მასპინძლობისათვის.

კეთილი იყოს ორი ჯორჯიის შეხვედრა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისა და გაღრმავების საკეთილდღეოდ.

საქართველოს დღეების მიმდინარეობას ატლანტაში ვიდეოფირზე აღბეჭდავს ფოტოჟურნალისტი ბონდო დადევაძე. ქართველ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცემა თავად იხილოს, თუ როგორ გაიმართა ეს შეხვედრები ამერიკაში, როგორ მიიღეს მასპინძლებმა საქართველოს წარგზავნილები.

**მერი ბაგრიაძე,**
**საქინფორმის კორ.**

# გვთავაზობს ფირმა „კოდაკი“

**საქართველო**-ვენესუელის ერთობლივმა ფირმამ „სხივმა“ მეტად სასარგებლო საქმე წამოიწყო. თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, 15 ნომერში ფირმა „კოდაკის“ ეგიდით გაიხსნა ფერადი გამჟღავნებისა და ბეჭდვის ლაბორატორია, აგრეთვე მაღაზია, სადაც თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით შეგიძლიათ შეიძინოთ ფირმა „კოდაკის“ მრავალი სახის ნაწარმი: ფოტოაპარატურა, ვიდეომაგნიტოფონები, ვიდეოკასეტები, ფოტოფირი, ტანსაცმელი და ბევრი სხვა საქონელი.

კეთილ სამსახურს გაგიწევთ აგრეთვე განახლებული ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე მოწყობილობით არის აღჭურვილი. აქ თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს შეუძლიათ მანეთებად გამოამჟღავნებინონ სხვადასხვა ფირმების ფერადი ფირები, ხარისხიანი სურათები დააბეჭდინონ.

**სურათებზე:** ვალუტით მოვაჭრე ახალ საფირმო მაღაზიაში; პირველი მყიდველები, გამყიდველი ლენა მაჩაიძე გთავაზობს ფირმა „კოდაკის“ ნაწარმს; ლაბორანტები გია აბულაძე და თემურ ბუხნიკაშვილი.

**ვანო შამანაძის ფოტო**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

## საზღვარგარეთ

# ჯერჯერობით გორბაჩოვი ურჩევნიათ

**იმის** მიუხედავად, რომ დიდი მხარდაჭერა აქვს რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ელცინს, სსრ კავშირში გადატრიალების წარუმატებელი ცდის შემდეგ, იაპონელთა შორის საბჭოთა ლიდერებიდან კვლავინდებურად ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს გორბაჩოვი. ამას მოწმობენ ახლახან გაზეთ „ასაჰის“ მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის დროს გორბაჩოვისადმი ნდობისა და მისი მხარდაჭერის შესახებ აზრი გამოთქვა გამოკითხულთა 65 პროცენტმა, თითქმის ამდენივე პროცენტი იყო იაპონიაში სსრ კავშირის პრეზიდენტის აპრილში ვიზიტის დროს. ელცინის მომხრე კი სულ 15 პროცენტი აღმოჩნდა. ეს შედეგები ასახავენ იაპონელთა აზრს იმის შესახებ, რომ რუსეთის საბჭოთა კავშირის მხოლოდ ნაწილია და მისი საგარეო პოლიტიკა ჯერჯერობით სუსტად იგრძნობა მსოფლიოში, წერს გაზეთი.

საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის მიმართ იაპონელთა უმრავლესობას, დაახლოებით 70 პროცენტს, მიაჩნია, რომ ქვეყანაში „ქაოსი“ უახლოეს ხანებში გაგრძელდება. ამიტომ გამოკითხულთა თითქმის 59 პროცენტმა განაცხადა, რომ ფრთხილად უნდა მიუდგნენ სსრ კავშირისადმი ეკონომიკური დახმარების გაწევას.

# ოპოზიციის მოთხოვნები

**მინსკი,** 18 სექტემბერი. დიდხანს არ გაგრძელებულა შედარებითი სიმშვიდე რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 17 სექტემბერს მუშაობა დაიწყო ბელორუსიის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიამ, მთავრობის სახლის წინ მოედანზე კი, სადაც თათბირობდნენ დეპუტატები, ხალხი შეიკრიბა მიტინგზე. მიტინგი მოაწყო ბელორუსიის სახალხო ფრონტის „აღორძინების“ სეიმის გამგეობამ. ამჯერად მომიტინგეთა მოთხოვნები უფრო კატეგორიულად გაისმოდა: კომპარტიის ქონების სრული ნაციონალიზაცია, რესპუბლიკის პროკურორის, იუსტიციის მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრისა და სახტელერადიოს თავმჯდომარის გადადგომა, რომლებმაც, როგორც ოპოზიციონერები თვლიან, სახელი გაიტეხეს აგვისტოს პუტჩის დროს.

ბელორუსიის სახალხო ფრონტის „აღორძინების“ ლიდერები მიიჩნევენ, რომ ახლანდელ, უპირატესად ნომენკლატურულ უზენაეს საბჭოს არავითარი პერსპექტივა არა აქვს. პროვოკაციულად რომ არ გამოიწვიოს ხალხი უფრო გაბედული მოქმედებისათვის, არ აღძრას მასში სიძულვილი და შეინარჩუნოს სიმშვიდე რესპუბლიკის დედაქალაქში, ახლანდელმა პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ახალი დემოკრატიული კანონი არჩევნების შესახებ და დანიშნოს ისინი წელსვე. გარდა ამისა, ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს მიიღონ კანონები მოქალაქეობის შესახებ, საზღვრების დაცვის შესახებ, აგრეთვე მხარს უჭერს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და, ბუნებრივია, საკუთარი თავდაცვის სამინისტროს შექმნას.

არავინ უწყის, თუ რა მოცულობით შეძლებს ოპოზიცია თავისი მოთხოვნების გატანას პარლამენტში. უზენაეს საბჭოში ხომ უმრავლესობა კომუნისტური იდეების ერთგულია, ანუ — ყოფილი აპარატის მუშაკები და მათი დამქაშები, რომელთაგან მრავალმა, მართალია, დაკარგა რბილი სავარძელი და პარტიული კაბინეტები, მაგრამ არ აპირებს შეელიოს დეპუტატის მანდატს, ცხადია ერთი რამ — გააფთრებული ბრძოლაა მოსალოდნელი პარლამენტში ოპოზიციასა და ნომენკლატურულ უმრავლესობას შორის.

**ვლადიმერ ხარირაშვილი,**
**საქინფორმის საკ. კორ.**

# ბუში ერაყის შესახებ

**ამერიკის** შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ „უბრალოდ თავი მობეზრა“ ბაღდადის წინააღმდეგობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავერტმფრინავო ინსპექციების მიერ ერაყის ბირთვული ობიექტების შემოწმების განხორციელებისადმი, და რომ საჭიროების შემთხვევაში ამ რეგიონში გაგზავნის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს ვერტმფრენების თანხლებით.

„ჩვენ არ ვიმუქრებით... საქმე ეხება არა მუქარას, არამედ ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას მივაღწიოთ, რომ ერაყმა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები“, — უთხრა ჟურნალისტებს პრეზიდენტმა, რომელიც მოგზაურობს ქვეყანაში და ამჟამად იმყოფება არიზონის შტატის ქალაქ გრანდ-კანიონში.

უპასუხა რა კითხვას ერაყთან სამხედრო კონფლიქტის განახლების შესაძლებლობის შესახებ, მან აღნიშნა: „არა მგონია, რომ სადამს ეს სურდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მას არ უნდა“.

# ჩინეთის მეთაურის განცხადება

**„ჩინეთმა** და საბჭოთა კავშირმა კვლავაც უნდა განავითარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა“, განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ლი პენმა აქ ვიზიტად ჩამოსულ ევროპის პარლამენტის დელეგაციასთან შეხვედრაზე.

იუწყება რა დღეს ამის შესახებ, გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ განსაკუთრებით ეხება ჩინეთის ხელმძღვანელის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ცვლილებებმა სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გარკვეული გავლენა მოახდინა ჩინეთზეც. მაგრამ, შენიშნა ლი პენმა, ეს ზეგავლენა მცირე იყო, რადგან სიტუაცია ჩინეთში განსხვავდება საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარებისაგან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ადგას სოციალიზმის მშენებლობის გზას ჩინური სპეციფიკით, მტკიცედ ახორციელებს რეფორმებისა და საგარეო ურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას, დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ვიუწყებოდით, თუ როგორია სოციალიზმის პრინციპები ჩინეთის სპეციფიკით, და ახლა უაღრესად მკაფიოდ ჩანს განსხვავება ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში, ხაზი გაუსვა ჩინეთის მთავრობის მეთაურმა.

# შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

**ოთხშაბათს,** 18 სექტემბერს, 12.00 საათისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცეცხლის აბსოლუტური შეწყვეტა ხორვატიის კრიზისულ რაიონებში. ამაზე თანხმობა მიაღწიეს სერბეთისა და ხორვატიის პრეზიდენტებმა სლობოდან მილოშევიჩისა და ფრანიო ტუჯმანის და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის საკავშირო მდივნის არმიის გენერალ ველკო კადიევიჩის შეხვედრაზე.

იუგოსლავიის ორი უდიდესი რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და ქვეყნის სამხედრო უწყების მეთაურის ეს შეხვედრა გაიმართა დაბა იგალოში (ჩერნოგორიის რესპუბლიკა) მაშინვე, როგორც კი დამთავრდა მათი მოლაპარაკება ლორდ კარინგტონთან, ჰააგაში მიმდინარე იუგოსლავიისადმი მიძღვნილი საზავო კონფერენციის თავმჯდომარესთან. მოლაპარაკებაზე განიხილეს კონკრეტული ღონისძიებანი იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში დაზავებისა და ვითარების სტაბილიზაციისათვის.

იუგოსლავიის „სამეულის“ შეხვედრაზე მიღწეულია აგრეთვე მორიგება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ გაგრძელდეს აზრთა გაზიარება მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხთა მთელ კომპლექსზე ქვეყანაში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კრიზისის მოწესრიგებისა და იუგოსლავიისადმი მიძღვნილი საზავო კონფერენციის წარმატებისათვის.

იუგოსლავიაში ლორდ კარინგტონის მისიის შედეგებით კმაყოფილება გამოთქვეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის წევრებმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინისაგან, სერბეთის, ჩერნოგორიის, ვოევოდინისა და კოსოვოს ავტონომიური მხარეებისაგან. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტი ძალისხმევა ჰააგაში საზავო კონფერენციის წარმატებით დამთავრებისათვის.

სამუშაო სხდომის მონაწილეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს აგრეთვე იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის სტიპე მესიჩის, ქვეყნის ამ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში ხორვატიის წარმომადგენლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გაგზავნილი იმ წერილის გამო, რომელშიც მან შესთავაზა სასწრაფოდ მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხდომა და გაგზავნონ იუგოსლავიაში მშვიდობის დაცვის ძალები. აზრთა გაზიარების შემდეგ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანმა ანტონ სტარიმ ტანიუგის სააგენტოს განუცხადა, რომ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმს არ მიუღია გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებისა თუ რომელიმე სხვა ძალების იუგოსლავიაში მოწვევის შესახებ. „ამიტომ სტიპე მესიჩს არ ჰქონდა საფუძველი ოფიციალური წერილისათვის და, მაშასადამე, მისი მიმართვა შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ როგორც პირადი თვალსაზრისის გამოხატვა, მაგრამ არა როგორც ოფიციალური მოთხოვნა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელით“, თქვა მან.

# საბჭოთა კონტრაბანდისტები

**„კონტრაბანდის** ტალღა საბჭოთა კავშირიდან“ — ასე დაასათაურა „სვენსკა დაგბლადეტმა“ სტატია, რომელიც ეძღვნება შვეციის დედაქალაქში ტალინიდან და ლენინგრადიდან სამგზავრო თბომავლებით ჩამოსულ საბჭოთა ტურისტებს.

სტოკჰოლმის საბაჟო, აღნიშნავს გაზეთი, არ ერიცხავს აღმოსავლეთის მიმართულებიდან სანაოსნო გზით ჩამოსული მგზავრებისაგან ჩამორთმეულ საქონელს.

ამ ბოლო ხანს კონტრაბანდა სსრ კავშირიდან შვეციაში ძლიერ გაიზარდა და არსებითი მასშტაბები შეიძინა. დამრღვევები ძირითადად არიან საბჭოთა ტურისტები, რომლებიც სტოკჰოლმში თბომავლებით არცთუ იშვიათად სულ მხოლოდ 24 საათით ჩამოდიან. მათ თან მოაქვთ ყველაფერი, რისი ფულად ქცევაც შეიძლება. მრავალ მათგანს აქვს მხოლოდ გემბანის ადგილები და ცურვის დროს ბუტერბროდებით იკვებებიან. ამიტომ მათ ყოველთვის არა აქვთ საკმარისი სახსრები, რათა გადაიხადონ ჯარიმა ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოტანისათვის. ამ შემთხვევაში საჭირო თანხას აძლევენ იმათ, ვინც მუდმივად ცხოვრობს აქ და მოიპატიჟა ეს პირები შვეციაში.

მარტო ბოლო სამი კვირის მანძილზე სტოკჰოლმის საქალაქო სასამართლომ ექვსჯერ განიხილა საქმეები სსრ კავშირის მოქალაქეთა მიერ ქვეყანაში კონტრაბანდული საქონლის შემოზიდვის ცდების გამო. ხოლო ჩამორთმეულ საგნებს შორის, ხატებისა და საბჭოთა ტურისტებისათვის ტრადიციული არყისა და შამპანურის გარდა, არის გაცილებით უფრო საშიში საგნები: ცივი იარაღი, გაზის პისტოლეტები და ცრემლსადენგაზიანი ბალონები.

# განკითხვის დღე ისრაელში

**17 სექტემბერს** საღამოს მთელ ისრაელში შეჩერდა ტრანსპორტის მოძრაობა, ხოლო სინაგოგები აავსეს მლოცველებმა. დადგა ებრაელთა კალენდრის ყველაზე პატივსაცემი თარიღი — „იომ კიპური“ ანუ განკითხვის დღე.

ებრაელთა ტრადიციის თანახმად, ამ დღეს, რომელსაც დასაბამი მოსემ მისცა, ხელმოწერით მტკიცდება განაჩენი, რომელიც მამაზეციერმა თითოეულ ადამიანს გამოუტანა მომავალი წლისათვის. მიჩნეულია, რომ განკითხვის დღე უკანასკნელი შანსია ლოცვითა და გულწრფელი მონანიებით გამოისყიდო შენი დანაშაული ღმერთის წინაშე.

ისრაელთა უდიდესი უმრავლესობა, იმათი ჩათვლით, ვინც თავს ურწმუნოდ თვლის, მარხულობს და თავს იკავებს გართობებისაგან, მრავალი ადამიანისათვის „იომ კიპური“ ერთადერთი დღეა წელიწადში, როცა მათ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ მივიდნენ სალოცავში.

# ყველაზე პოპულარული ადამიანი

**ისრაელის** ყველაზე პოპულარულ ადამიანად აღიარებულია ქალბატონი მარიამ ბენ-პორატი, რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორის გავლენიანი პოსტი უკავია. ებრაელთა კალენდრით ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, ბენ-პორატმა მოაგროვა გამოკითხულთა ხმების 13 პროცენტი და 3 პროცენტით აჯობა პრემიერ-მინისტრს იცხაკ შამირს. სახელმწიფო კონტროლიორის პოპულარობა იმით აიხსნება, რომ ისრაელის „რკინის ლედიმ“ გამოიჩინა უკომპრომისობა და პრინციპულობა მთელი რიგი ცენტრალური უწყებების საქმიანობის გამოძიებისას. მისი ხელმძღვანელობით გამოვლინდა, კერძოდ, კანონიერების მრავალრიცხოვანი დარღვევები შინაგან საქმეთა სამინისტროში, აგრეთვე აღმოაჩინეს ერაყის მიერ რაკეტების ცეცხლის დაშენის დროს მოსახლეობაში თავდაცვის სამინისტროს მიერ განაწილებული აირწინაღების მნიშვნელოვანი ნაწილის უწესივრობა. დამახასიათებელია, რომ ყველაზე ნაკლებად პოპულარულ ისრაელად დაასახელეს შინაგან საქმეთა მინისტრი არიე დერი, რომელსაც სახელი გაუტეხა სახელმწიფო კონტროლიორის მხილებებმა.

# შეთანხმება გაგრძელდა

**თურქეთმა** და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს ვადა ორმხრივ შეთანხმებას თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ, იუწყება თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამ დოკუმენტის შესაბამისად, შეერთებულ შტატებს ანკარისადმი მისი სამხედრო და ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ ენიჭება უფლება ისარგებლოს სამხედრო ობიექტებით თურქეთის ტერიტორიაზე. როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, დოკუმენტში არავითარი ცვლილებები არ არის შეტანილი.

შეთანხმება თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო 1980 წელს. შარშანდელი ორმხრივი მორიგების თანახმად, მას ვადა უხანგრძლივდება ყოველ წელიწადს იმ პირობით, თუ არც ერთი მხარე არ აცხადებს მის გაწყვეტას.

თურქეთის ტერიტორიაზე არის ამერიკა-თურქეთის ერთობლივი სარგებლობის 12 სამხედრო ობიექტი, მათ შორის დაკვირვების სადგური და სამხედრო-საჰაერო ბაზა ინჯირლიკში, საიდანაც სამოკავშირეო ჯარები თავს ესხმოდნენ ერაყს სპარსეთის ყურეში ომის დროს. ამ ბაზას აგრეთვე აქტიურად იყენებდნენ 500 ათასამდე ერაყელი ქურთისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც თავს შველოდნენ სადამ ჰუსეინის ჯარებისაგან გაქცევით ერაყის ჩრდილოეთში ქურთთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ.

# ბეიკერი ეგვიპტიდან გაემგზავრა

**ამერიკის** შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა, რომელიც სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების შემდეგ მეშვიდედ მოგზაურობს ახლო აღმოსავლეთში, დაამთავრა ორდღიანი ვიზიტი ეგვიპტეში. ვიზიტის დროს იგი მიიღო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა და ჰქონდა მოლაპარაკება ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ამრ მუსასთან, როგორც მენის სააგენტო აღნიშნავს, საუბარი ეხებოდა ახლო აღმოსავლეთში მოწესრიგების პროცესის წინ წაწევას და მიმდინარე წლის ოქტომბერში ახლო აღმოსავლეთის შესახებ საზავო კონფერენციის მოწვევის პერსპექტივებს. როგორც ეგვიპტის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა განაცხადა, კაიროში ბეიკერის ვიზიტის შედეგები, „რომელიც კონფერენციის მოწვევისათვის გადამწყვეტ მომენტში მიმდინარეობდა“, ხელს შეუწყობს ამ იდეის რეალიზაციას.

ძირითად უთანხმოებებს, რომელთა გამო ამერიკის დიპლომატიამ უნდა მიაღწიოს კომპრომისს კონფერენციის პოტენციურ მონაწილეთა შორის, იწვევს კონფერენციაზე პალესტინელთა წარმომადგენლობის, აღმოსავლეთ იერუსალიმის ბედისა და ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე ისრაელთა დასახლებების მშენებლობის საკითხი.

ახლო აღმოსავლეთში ბეიკერის ტურნეს მომდევნო პუნქტია იორდანია.

# 20 მილიონი კაცი ბრმავდება

**ყოველწლიურად** მსოფლიოში ინფექციურ დაავადებათა შედეგად 20 მილიონზე მეტი კაცი კარგავს მხედველობას. ეს მონაცემები მოიყვანეს მიუნსტერში გახსნილ გერმანიის ოფთალმოლოგთა საზოგადოების კონგრესზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობს 23 ქვეყნის მხედველობის ორგანოთა დაავადების მკურნალობის დარგის რვაასამდე სპეციალისტი.

ოფთალმოლოგიურ დაავადებათა ყველაზე მაღალი დონეა, როგორც კონგრესის მონაწილენი აღნიშნავენ, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში. ბოლო წლებში, განაცხადეს მათ, მთელ მსოფლიოში ძლიერდება ზოგიერთ ისეთ თვალის სნეულებათა გავრცელების საგანგაშო ტენდენცია, რომლებიც წინათ ლოკალიზებულად ითვლებოდა პლანეტის ცალკეულ რეგიონებში. ამის მიზეზად სპეციალისტები მიიჩნევენ საერთაშორისო მისვლა-მოსვლის გახშირებას, აგრეთვე განვითარებადი ქვეყნებიდან ლტოლვილთა ნაკადის გაძლიერებას.

# პრეზიდენტი ბრალად სდებს

**თურქეთის** პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა სასამართლოს მიმართა თხოვნით აღძრას საქმე ანკარის გაზეთის „საბაჰის“ წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად სდებს ცილისწამებას. ამ გაზეთმა დაბეჭდა მასალა, რომელიც აღნიშნავს, თითქოს 1983 წელს ძალაუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ოზალს ანკარაში წერილი გაეგზავნოს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისათვის. წერილში იგი მადლობას უხდის იმ დახმარებისთვის, რომელიც მასულის პარტიას გაუწია ამერიკამ თურქეთის პარლამენტის არჩევნებში.

ოზალების ოჯახის ადვოკატმა ბილგინ იაზიჯიოღლუმ ამ პუბლიკაციას უწოდა ფალსიფიკაცია, რომლის მიზანია შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ემსახურებოდეს. პოლიციამ დაადგინა, თქვა მან, რომ ოზალის ხელმოწერა წერილზე ყალბია.

როგორც თურქეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კაია თოძერიმ განაცხადა, ეს ნაბიჯი ვადამდელი საყოველთაო არჩევნების ზღურბლზე, რომელიც მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გაიმართება, მიმართულია მმართველი მასულის პარტიის წინააღმდეგ, რომელსაც 1989 წლამდე სათავეში ედგა რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი თურგუთ ოზალი.

# რამდენიმე სტრიქონით

**ჰააგაში** გრძელდება იუგოსლავიაში შექმნილი კრიზისის მოსაწესრიგებლად ევროპის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ცხრა საგარეო საქმეთა მინისტრისა და იუგოსლავიის ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენლის მოლაპარაკება. გადაწყდა კრიზისის რაიონებში ჯარების სპეციალური კონტინგენტის გაგზავნა. ზაგრების რადიოს ცნობით ხორვატიის ქალაქ ვუკოვარზე იუგოსლავიის სახალხო არმიამ სატანკო იერიში განახორციელა. დამცველები ქალაქს მედგრად იცავენ. ზაგრებში რამდენჯერმე საჰაერო განგაში გამოაცხადეს. ქალაქში შუქი გამთიშეს. იუგოსლავიის არმიის ავიაციის მოსალოდნელი შეტევის გამო ზაგრებში და მის შემოგარენში ავტომობილები შუქშენიღბვით მოძრაობენ. ბრძოლები გრძელდება.

**საბჭოთა კავშირის** გენერალურმა პროკურორმა ტრუბინმა დეპეშა გაუგზავნა ამერიკაში მცხოვრებ რუს მწერალს სოლჟენიცინს, სადაც აღნიშნულია, რომ იგი გმობს საბჭოთა კავშირის პროკურატურის მოქმედებას და ამის გამო ბოდიშს იხდის. ტრუბინი დეპეშაში აღნიშნავს, რომ სოლჟენიცინის მიმართ წაყენებული სამშობლოს ღალატის მუხლი გაუქმებულია და მისი საქმე დახურულია. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ სოლჟენიცინმა ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა.

**ერაყის** დიქტატორმა სადამ ჰუსეინმა ტელევიზიით გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ერაყისათვის საჭირო არ არის დასავლური ტიპის დემოკრატიული ინსტიტუტის დამყარება. ეგვიპტური გაზეთის „ალვათდის“ ცნობით, ჰუსეინს არ დაუზუსტებია თუ როგორი ტიპის დემოკრატია მოსწონს.

**ორკვირიანმა** გამუდმებულმა წვიმამ ახალი დიდი წყალდიდობა გამოიწვია ბანგლადეშში. დაიტბორა ქვეყნის ჩრდილოეთის 22 რაიონი. დაიღუპა 200 ადამიანი. უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი.

**ამერიკულმა** მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურმა ხომალდმა „დისქავერიმ“ ხუთდღიანი ფრენის შემდეგ წარმატებით დაასრულა თავისი მოგზაურობა. იგი დაეშვა კალიფორნიის შტატის ედვარდსის სამხედრო საჰაერო ბაზაზე. თავდაპირველად ხომალდი ჯონ კენედის სახელობის კოსმოდრომზე უნდა დამჯდარიყო, მაგრამ კლიმატური პირობების გამო ედვარდსის ბაზაზე დაშვება ამჯობინეს.

**შეერთებული** შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სამშაბათს ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ანატოლი გორბუნოვს, ვიტაუტას ლანდსბერგისსა და არნოლდ რუიტელს შეხვდა. შეხვედრისას, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა, შეეხნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე ლანდსბერგისმა განაცხადა, რომ ეს საკითხი საბჭოთა კავშირ-შეერთებული შტატების მომავალ მოლაპარაკებაზე განიხილებაო.

**გუშინ** ტალინში ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვეთის, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენელთა თათბირი გაიხსნა ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირის დამყარების თაობაზე. ტალინის შეხვედრა ამ ხასიათის რიგით მე-6 შეხვედრაა.

**დღეს** აღინიშნება ბავშვთა საერთაშორისო დღე. ამასთან დაკავშირებით გაეროს ბავშვთა ფონდმა გამოაქვეყნა მონაცემები, საიდანაც ირკვევა, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში 10 მილიონამდე ბავშვი იქნება შიდსით დაავადებული. ფონდის მონაცემებით განსაკუთრებით სწრაფად ეს ავადმყოფობა ვრცელდება აზიისა და აფრიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში.

**ზაგრების** რადიოს ცნობით უნგრეთის საჰაერო სივრცეში შეჭრილი იუგოსლავიის სახალხო არმიის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. უნგრეთის მხარეს ეს ფაქტი არ დაუდასტურებია.

**სერბეთ-ხორვატიის** კრიზისი ნავთობის სფეროშიც გადაიზარდა. ზაგრებმა გადაკეტა სერბეთისაკენ მიმავალი ნავთობმაგისტრალი „ადრია“. სერბეთის ხელისუფლება ნავთის რუმინეთში შესყიდვას აპირებს. ბელგრადში ავტომობილების უმრავლესობა უბენზინობის გამო გაჩერებულია.

**სტრასბურგში** ევროპის სასახლეში მუშაობას შეუდგა ევროპის საბჭოს პარლამენტარული ასამბლეის სესია. მასში მონაწილეობას იღებს 25 ქვეყნის წარმომადგენელი. სესიაში პირველად „სპეციალურად მოწვეულის“ სტატუსით მონაწილეობას იღებენ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის წარმომადგენლები. ანალოგიური სტატუსი აქვს საბჭოთა დელეგაციასაც.

**საბჭოთა** პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მრჩევლის ოლეგ ოჟერელიევის აზრით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ყოველკვირეულად საბჭოთა კავშირში ინფლაცია ორი პროცენტით მატულობს. „საბჭოთა ეკონომიკის ნგრევის პროცესი გრძელდება“ აღნიშნავს პრეზიდენტის მრჩეველი.

**გვატემალაში** რიხტერის სკალით 5,3 ბალიანი სიძლიერის მიწისძვრა მოხდა. სოლოლას დეპარტამენტის საცხოვრებელი სახლების 70 პროცენტი დაინგრა. დაიღუპა 9 ადამიანი, 60 დაშავდა. უკანასკნელი მიწისძვრა ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში 1976 წელს მოხდა, რომლის დროსაც 20 ათასი ადამიანი დაიღუპა. მაშინ ბიძგების ძალა რიხტერის სკალით 7 ბალს აღწევდა.

**შეერთებულმა შტატებმა** თავისი ზაგრების საკონსულოს თანამშრომელთა რიცხვი 15 ადამიანიდან 5-მდე შეამცირა. იხილება საკითხი ბელგრადის საკონსულოს თანამშრომელთა შემცირების შესახებ. იუგოსლავიიდან ამერიკულ საკონსულოების თანამშრომელთა რიცხვის შემცირების მიზეზია განუწყვეტელი სამოქალაქო ომი, აღნიშნავს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი რიჩარდ ბაუჩერი.

**საბერძნეთის** პოლიციამ ქვეყნიდან გაასახლა არალეგალურად ჩამოსული 185 ალბანელი. ეს უკვე ამგვარი მეორე აქციაა, რომელიც საბერძნეთის პოლიციამ განახორციელა. მისი აზრით, ალბანელთა ჩამოსვლა საბერძნეთში კრიმინალურ ვითარებას ართულებს.

# ტელეფონიზაცია ფინეთში

**ფინეთს** სატელეფონო კავშირით მოსახლეობის მოცვის დონის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მას აქვს თანამედროვე და განშტოებული ქსელი, რომელიც 5-მილიონიანი მოსახლეობიდან ემსახურება 2,7 მილიონ აბონენტს. ქვეყნის ყოველ ას მცხოვრებზე მოდის 52 ტელეფონი. პრაქტიკულად ეს მოწმობს ქვეყნის სრულ ტელეფონიზაციას, სადაც კავშირის ეს მოსახერხებელი საშუალება თითოეულ ოჯახს აქვს. ნებისმიერი აპარატით შეიძლება დაუკავშირდეთ აბონენტებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

## გადასახედი

**ცნობილ საჭადრაკო კომპოზიტორს გია ნადარეიშვილს დაბადების 70 წელი უსრულდება. აი, რამდენიმე სტრიქონი მისი, როგორც შემოქმედისა და პიროვნების, სავიზიტო ბარათიდან.**

**პირველი ეტიუდი გამოაქვეყნა 1938 წლის 19 იანვარს. საერთაშორისო ოსტატია 1959 წლიდან, საერთაშორისო დიდოსტატი — 1980 წლიდან, საერთაშორისო არბიტრი — 1960 წლიდან. პირველი წიგნი — „საჭადრაკო ეტიუდები" გამოსცა 1952 წელს, ამჟამად ცხრა კრებულისა და მონოგრაფიის ავტორია. 1970–1976 წლებში რედაქტორობდა ალმანახ „ჭადრაკს". 1975 წელს გ. ნადარეიშვილი, როგორც მასპინძელი, თავკაცობდა თბილისში გამართულ საჭადრაკო კომპოზიტორთა საერთაშორისო კონგრესს. 1989 წელს მისი თაოსნობით საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის საკომპოზიციო კომისიასთან შეიქმნა საეტიუდო ქვეკომისია. 1990 წლიდან იგი ამ კომისიის ვიცე-პრეზიდენტი და ქვეკომისიის თავმჯდომარეა. გ. ნადარეიშვილი საქართველოს დამსახურებული ექიმია, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს ნერვული განყოფილების გამგეა, 1961 წლიდან ქალაქ თბილისის მთავარი ნევროპათოლოგია. მას ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.**

**გთავაზობთ გამოჩენილ მოჭადრაკესთან, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკთან „საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტის საუბარს, რომელიც შეეხება საჭადრაკო კომპოზიციას საერთოდ და გია ნადარეიშვილის შემოქმედებას კერძოდ. ვფიქრობთ, უკეთეს შემფასებელ-დამფასებელს ვერც ვინატრებთ...**

# მოწიწებით თავს ვხრით...

**შიო ლარცულიანი: ბატონო მიხეილ, თქვენ ჯერ კიდევ ბავშვობიდან სცადეთ ძალა საჭადრაკო კომპოზიციაში, შედგენილი გაქვთ მრავალი ეტიუდი. რით გიზიდავთ საჭადრაკო ხელოვნების ეს სფერო?**

**მიხეილ ბოტვინიკი:** საჭადრაკო კომპოზიტორობა არასოდეს გამიხდია თვითმიზნად, მაგრამ პრაქტიკული თამაშის დროს ბევრი საინტერესო იდეა დამებადა და სწორედ მათი ეტიუდებად ჩამოყალიბება ვცადე. ჩემი ღრმა რწმენით, ჭადრაკში მთავარი პრაქტიკული თამაშია, ყველაფერ დანარჩენს, მაგალითად, დებიუტების თეორიას, ამოცანას, ეტიუდს დაქვემდებარებული როლი აქვთ. ისინი გვჭირდებიან იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობენ პრაქტიკული თამაშის განვითარებას. საჭადრაკო ამოცანა ისტორიულად პრაქტიკული პარტიიდან აღმოცენდა და მისი თანდათანობითი გადახრა განყენებული შემოქმედებისაკენ, პრაქტიკოსი მოჭადრაკის თვალში, საეჭვოს ხდის ამგვარი კომპოზიციის თვით არსებობის აზრს.

საჭადრაკო კომპოზიტორებსა და პრაქტიკოს მოჭადრაკეებს შორის ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობაა. თუ პირველები გადაჭარბებით აფასებენ ამოცანებისა და ეტიუდების თავისთავად მნიშვნელობას, მეორენი საკმარისად არ მიუზღავენ მათ. ცნობილია, მაგალითად, ერთ-ერთი ლენინგრადელი ოსტატის აზრი კომპოზიციაზე: მრუდე სარკეში შეიძლება ჩაიხედო ერთი-ორჯერ, მეტჯერ არაო. ჭეშმარიტება, ჩემი აზრით, ამჯერადაც შუალედურ რგოლშია: საჭადრაკო კომპოზიცია, მართალია, დამოუკიდებელი სფეროა, თავის კანონზომიერებას ემორჩილება, საუკეთესო ქმნილებების სახით ხელოვნებამდე მაღლდება, ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ იგი იმდენად არის მიმზიდველი და სიცოცხლისუნარიანი, რამდენადაც პრაქტიკული თამაშის იდეებს ეყრდნობა, რამდენადაც ეთიშება ფორმალიზმსა და განყენებულობას. შორს რომ არ წავიდეთ, ამგვარი შემოქმედების ნათელი მაგალითია ა. ტროიცკის, ლ. კუბელის, ძმების პლატოვების, მ. ლიბურკინის, ჰ. კასპარიანისა და სხვა ბრწყინვალე კომპოზიტორების ქმნილებანი. შეგვეძლო აქვე დაგვესახელებინა ჩემი მეგობარი გია ნადარეიშვილი, მაგრამ, ვატყობ, მასზე ცალკე საუბარი მოგვიხდება.

**შ. ლ.: დიახ, ჩვენს მკითხველს განსაკუთრებით დააინტერესებს თქვენი შეხედულება გ. ნადარეიშვილის შემოქმედებაზე.**

**მ. ბ.:** გავიმეორებ იმას, რაც არაერთხელ მითქვამს და დამიწერია: გია ნადარეიშვილი ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი ეტიუდისტია. ძირითადად მისი წყალობითა და ძალისხმევით საქართველო მსოფლიო საეტიუდო ხელოვნების მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. აქ მრავალგზის მოეწყო საკავშირო და საერთაშორისო კონკურსები, გამოიცა საინტერესო წიგნები და, რაც მთავარია, შეიქმნა საეტიუდო ხელოვნების ნამდვილი შედევრები. ლიდერს მხარს უმშვენებს მომდევნო თაობა, საფუძველი ჩაეყარა ტრადიციებს, შეიქმნა სკოლა. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოში თითებზე ჩამოსათვლელი საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატებიდან ორი საქართველოში ცხოვრობს. ეს უმაღლესი წოდება გია ნადარეიშვილის შემდეგ დავით გურგენიძემ მოიპოვა. გია კი თანამდებობრივადაც საკომპოზიციო მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური და წარმმართველია საქართველოს რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო მასშტაბით.

**შ. ლ.: თბილისში 1970 წელს გამოცემული გია ნადარეიშვილის „რჩეული ეტიუდების" წინასიტყვაობაში თქვენ წერდით ამ წიგნის ღირსებებზე, თქვენთვის ჩვეული სიღრმითა და ლაკონიურობით აფასებდით აქ წარმოდგენილ ეტიუდებს, მიუთითებდით, რომ ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა გვერდით წიგნში გამოქვეყნებულია სხვა გამოჩენილ ეტიუდისტთა ქმნილებებიც.**

**მ. ბ.:** გ. ნადარეიშვილმა მართლაც გაბედული გადაწყვეტილება მიიღო: იგი არ შეუშინდა იმას, რომ თავისი ეტიუდები შეედარებინა წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილ ბრწყინვალე კომპოზიტორთა უნიკალური მიღწევებისათვის. ჩემთან ერთად შემდეგ მკითხველიც დარწმუნდა, რომ წიგნის ავტორს შესაშინებელი არაფერი ჰქონდა.

მე მაშინაც მივუთითე და ახლაც ვიმეორებ, რომ საეტიუდო ხელოვნება კარგა ხანია ვითარდება ორი მიმართულებით. პირველი ძირითადად დაკავშირებულია ეგრეთ წოდებული ამომხსნელების, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, პრაქტიკოს მოჭადრაკეთა ინტერესებთან. ეს მიმართულება ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს ეტიუდის გადაწყვეტის სირთულეს, შემხვედრი ბრძოლის დაძაბულობას, კომპოზიციის ორიგინალურობას, მის მიახლოებას პრაქტიკასთან. მეორე მიმართულების მრევლი სპეციალისტთა შედარებით ვიწრო წრეა, იგი ჰაიჰარად ეკიდება პრაქტიკოს მოჭადრაკეთა მოთხოვნებს, გადაწყვეტის სიძნელეს ცვლის ეტიუდის შედგენის სიძნელით. რასაკვირველია, ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან ყოველი ეტიუდისტი ხარკს უხდის ორივე მიმართულებას, ერთი მხრივ, ცდილობს დააკმაყოფილოს მასობრივი აუდიტორიის მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებანი, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიულ საქმეში გაიბრწყინოს კომპოზიციის შედგენის ტექნიკით.

მე კატეგორიულად პირველი მიმართულების მომხრე ვარ. ვიმეორებ, მეორე ტიპის ეტიუდებს არსებობის უფლება აქვთ მხოლოდ იმის დამადასტურებლად, რომ კომპოზიტორი სრულყოფისაკენ მიისწრაფვის და მეტი არაფერი! ჩემი აზრით, კომპოზიტორის ნაჯაფ-ნალვაწი უნდა შევაფასოთ არა მის მიერ შედგენილი ეტიუდების რაოდენობითა და მათი საშუალო დონით, არამედ იმ შემოქმედებითი მწვერვალებით, რომელთაც ავტორი მიწვდა თავისი საუკეთესო ქმნილებებით.

სწორედ ამიტომ მოწიწებით თავს ვხრით გია ნადარეიშვილის წინაშე. მისი საუკეთესო ეტიუდები, უეჭველია, სამუდამოდ შევა საეტიუდო ხელოვნების ოქროს ფონდში. ჩვენ აქ ვხედავთ გონებამახვილურ შემხვედრ თამაშს, არაჩვეულებრივ სიძნელეს, ორიგინალურობასა და პოზიციის ბუნებრიობას. აქ საეტიუდო იდეა კი არ ფლობს ეტიუდისტს, არამედ მხატვარი ფლობს ნაწარმოების იდეას.

**შ. ლ.: მეგობრობა ქართველ დიდოსტატთან ხელს ხომ არ გიშლით მისი პიროვნებისა და საჭადრაკო მიღწევების მიუკერძოებელ აღქმაში?**

**მ. ბ.:** ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა თქვეს: პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარიაო. ამის ანალოგიით შემეძლო მეთქვა: გია ჩემი მეგობარია, მაგრამ... თუმცა ამ შემთხვევაში ჭეშმარიტების დაფარვას აზრი არა აქვს, რადგან იგი სასიამოვნოა იმისთვისაც, ვისზეც ლაპარაკია, ამ სიტყვების ავტორისთვისაც და მკითხველისთვისაც.

ჯერ როგორც ადამიანზე. როცა 1983 წელს ნიუ-იორკში კომპიუტერთა შორის მსოფლიოს პირველობაზე გაიმარჯვა კრეი-ბლიტცის პროგრამამ, მე ამ პროგრამის შემდგენელ მათემატიკოსს ჰაიეტს ორი ქართული ყანწი გადავეცი, ისინი გიამ გამატანა გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. ყანწებმა არნახული ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ თავის დროზე მოფიქრება და გული სჭირდებოდა?

ექიმი ნადარეიშვილი როცა თავისუფალია, მუდამ კომპოზიციაზე მუშაობს! სხვაგვარად ღირებულს ვერავინ შექმნის. იგი ფანატიკოსია და სწორედ ფანატიზმი ხელოვანს განასხვავებს ხელოსნისაგან. გიას ძალუძს ნათელ იდეას მიანიჭოს ნატიფი და ბუნებრივი ფორმა. გართულებულ და დამძიმებულ განლაგებას იგი იშვიათად და მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა სხვაგვარად სავსებით გამორიცხულია იდეის ხორცშესხმა.

გ. ნადარეიშვილის ეტიუდებს აქვთ განსაკუთრებული იერსახე, მათი გადაწყვეტისას მოხიბლული რჩებით ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობით, გონებამახვილური და მოულოდნელი ლოგიკით.

ადამიანები თავიანთ საქმიანობაში სარგებლობენ ორი ტიპის ალგორითმით — მართვის ალგორითმითა და მართვის ალგორითმების ძიების ალგორითმით. შემოქმედებითი პროცესი, უეჭველად, დაკავშირებულია ძიების ალგორითმთან. მაგრამ ყველა ადამიანს როდი ძალუძს ამის გაკეთება. მაძიებელი ბუნების გია ნადარეიშვილი თავის საქმის ნამდვილი ოსტატია, ზუსტ გზას პოულობს შთაგონებიდან რეალობამდე.

**შ. ლ.: მკითხველის მოწონება დაიმსახურა გ. ნადარეიშვილის მეტად ორიგინალურმა წიგნმა — „ეტიუდები დიდოსტატთა თვალით", რომელიც 1982 წელს მოსკოვში „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა. თქვენ მის შესახებაც გამოთქვით საკუთარი მოსაზრება.**

**მ. ბ.:** ეს მართლაც უნიკალური წიგნია. მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეები (მათ შორის ცხრა მსოფლიო ჩემპიონიცაა) თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ ცალკეულ ეტიუდებზე. გ. ნადარეიშვილს დიდოსტატებისათვის თავს არ მოუხვევია მის მიერ არჩეული ეტიუდები. საქმე ისე გაიჩარხა, რომ შენიშვნების ავტორები თავიანთ საყვარელ საკომპოზიციო ქმნილებებს წარმოგვიდგენენ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ჩემს მიმართ. მართლაც გამოცანაა, თუ როგორ შეძლო გიამ ერთ წიგნში თავი მოეყარა ერთმანეთისაგან აგრერიგად განსხვავებული ადამიანებისათვის (ცნობილია, რომ მოჭადრაკეები რაც უფრო ძლიერად თამაშობენ, მით უფრო დაძაბულია მათს შორის ურთიერთობანი). საფიქრებელია, აქ თავი იჩინა იმ სიმპათიამ, რომელსაც დიდოსტატები იჩენენ წიგნის ავტორის მიმართ. აქ უმნიშვნელო როლი როდი ითამაშა გ. ნადარეიშვილის თავგამოდებულმა სამსახურმა საჭადრაკო ხელოვნებისადმი, მისმა თვალსაჩინო მიღწევებმა.

**შ. ლ.: სულ ცოტა ხანში გიას სამოცდაათი წელი უსრულდება...**

**მ. ბ.:** ეს საკმაოდ მაღალი გადასახედია, მაგრამ საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებითაც ღრმად მწამს (მე ხომ მასზე მთელი ათი წლით უფროსი ვარ), რომ გია ნადარეიშვილი მომავალშიც ერთგულად ემსახურება საჭადრაკო მუზას. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი აღმაფრენა.

**შ. ლ.: ღმერთმა გისმინოთ!**

**მოსკოვი–თბილისი,**
**1991 წლის აგვისტო.**

**სურათზე: დიდოსტატი გია ნადარეიშვილი.**

## საკუთარ სახლში

### 29 სექტემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებია

**ავტონომიურ** რესპუბლიკაში განისაზღვრა მომავალი პარლამენტის წევრთა რაოდენობა — 65, დაზუსტდა არჩევნების გამართვის დღე — 29 სექტემბერი. 28 საარჩევნო ოლქში (ოლქები დაკონკრეტებულია) დეპუტატობის კანდიდატებად მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ აფხაზი ეროვნების პირებს, 26 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრიან მხოლოდ ქართველი ეროვნების დეპუტატობის კანდიდატები, ხოლო დანარჩენ 11 საარჩევნო ოლქში უფლება აქვთ კენჭი იყარონ არააფხაზმა და არაქართველმა დეპუტატობის კანდიდატებმა.

რა თქმა უნდა, ასეთ არჩევნებს ძნელია უწოდო დემოკრატიული. მაგრამ ამას აქვს თავისი გამართლება იმ რთულ და მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს არსებობს აფხაზეთში. ყოველ შემთხვევაში ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია ქართველ და აფხაზ იურისტ-ექსპერტთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად და დამტკიცებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობის მიერ.

ამასთან, გადაწყდა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიები მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებებს მიიღებს ხმათა ორი მესამედით.

ასე თუ ისე კანონი მიღებულია და წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია.

გაიმართა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. სხდომაზე მოწვეული იყვნენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების კომისიების, კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების, სხვა სამსახურების, პრესის წარმომადგენლები. სხდომას უძღვებოდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. ცუგბა.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია ადგილებზე არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ყველგან დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს დეპუტატობის კანდიდატები. თითქმის ყველა ოლქში დასახელებულია ალტერნატიული კანდიდატურები — ორი, სამი, ოთხი კანდიდატი. არის ცალკეული ოლქები, სადაც კანდიდატთა რაოდენობა ცხრამდეა. ეს ამომრჩეველთა ნებაა და კანონს შეესაბამება. სხდომაზე საქალაქო და რაიონულ საარჩევნო კომისიებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებას მიეცათ კონკრეტული მითითებანი, რათა კანონით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყონ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო საგიტაციო მასალების გამოქვეყნება.

სხდომამ დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენის ფორმა და ნიმუში.

**თენგიზ ჯიბუტი,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

### შენდება მცირე ჰიდროელექტროსადგურები

**საქართველოში** სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ელექტროენერგიის დეფიციტმა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით და მათ შორის იმით, რომ ხელს ვიღებთ დიდი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობაზე, სპეციალისტები აიძულა ყურადღება მიეპყროთ მცირე მდინარეებზე. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ მდინარე ხოშისწყალზე ამოქმედდა ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე 5 ათას კილოვატს არ აღემატება. მდინარე ხერხზე კი ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრემ სულ 280 კილოვატი შეადგინა. მაგრამ ენერგიის ეს რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს მახლობლად მდებარე სოფლების საჭიროება. მშენებლობის პროცესშია კიდევ ექვსი მცირე ჰიდროელექტროსადგური, მიმდინარეობს აგრეთვე გასულ წლებში მიტოვებული მცირე ჰიდროელექტროსადგურების ინტენსიური აღდგენა.

მცირე ჰიდროენერგეტიკა მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს იმ რთული სიტუაციის დაძლევის პროგრამაში, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის ენერგეტიკულ კომპლექსში, საქართველო ძალზე მდიდარია წყლის რესურსებით. მის ტერიტორიაზე 1,5 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარე, რომელთა გამოყენება შეიძლება ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

— და მაინც, გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ მცირე ჰიდროენერგეტიკის მნიშვნელობა, მთელი მისი ეკოლოგიური უვნებლობის მიუხედავად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრმა გრიგოლ გოგავამ. — რამდენიმე ასეული მცირე ჰიდროელექტროსადგურიც კი ვერ შეცვლის მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მუშაობას. და ამ ფაქტს ვერსად ვერ წავუვალთ. ბუნებრივია, არც ეკოლოგია უნდა დავივიწყოთ. სწორედ ამიტომ, როცა რომელიმე ობიექტის მშენებლობას ან გაფართოებას ვგეგმავთ, ჯერ ეკოლოგიურ ექსპერტიზას ვახორციელებთ. მხოლოდ მაშინ, როცა დავრწმუნდებით, რომ მშენებლობა ზიანს არ მიაყენებს ბუნებას, ვიწყებთ სამუშაოებს.

რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვნად აძვირებს მშენებლობას, მაგრამ დამატებითი ხარჯების გაღება საჭიროა. დღეს დაზოგილი სახსრები ხომ ხვალ მოგვიტანენ გაუთვალისწინებელ, გაცილებით დიდ დანაკარგებს.

**ალა კოკაია,**
**საქინფორმის კორ.**

### როგორი უნდა იყოს რკინიგზა?

**როდის** მოხდება, ან საერთოდ მოხდება კი, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დააღწიოს თავი რკინიგზების საკავშირო სამინისტროს დაქვემდებარებას? ამ კითხვას უპასუხებს რკინიგზის უფროსის მოადგილე მამული კაპანაძე.

— ამჟამად, — თქვა მან, — ვამუშავებთ საბუთებს, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის რკინიგზების სამინისტროს დაქვემდებარებიდან იურიდიულად და ეკონომიკურად დასაბუთებული გამოსვლისათვის. ერთად გადავწყვეტთ იმას, თუ რა იქნება ჩვენი საკუთრება და რა — სამინისტროსი. ფაქტობრივად ყველა შენობა, სარელსო მეურნეობა, თბომავლები, საკონტაქტო ქსელები და მრავალი სხვა კანონიერად ეკუთვნის საქართველოს, რკინიგზის ღირებულება კი ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს შეადგენს.

— უნდა ითქვას, — ბრძანა შემდეგ ბატონმა მამული კაპანაძემ, — რომ რკინიგზას, მართალია, აქვს საკუთარი სახსრები, მაგრამ დღემდე მისი დაფინანსება ცენტრალიზებული ხასიათისაა. მაგალითად: სამტრედიის სახარისხებელი სადგურის მშენებლობას და ლიანდაგების კაპიტალურ შეკეთებას თითქმის მთლიანად რკინიგზათა სამინისტრო უზრუნველყოფდა. მანვე გამოგვიყო ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, შენობების, რკინიგზის ლიანდაგების აღდგენისათვის საჭირო რამდენიმე მილიონი მანეთი. ამიტომ, როგორც ვფიქრობ, ჩვენი რკინიგზის მთლიანი გამოყოფა არ იქნება სწორი. ჩვენ ძირითადად რკინიგზების სამინისტროსგან დამოუკიდებელი უნდა გავხდეთ, მაგრამ ამავე დროს წინასწარ უნდა დავთქვათ, თუ მომავალში რისთვის აგებს პასუხს სამინისტრო და რისთვის — ჩვენ. საქმე ის არის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა არ არის ტრანზიტული, როგორიც ბალტიისპირეთისა, თუ არ ჩავთვლით კავშირს სომხეთთან. ესეც გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნის. ვფიქრობ, რომ სავაგონო მეურნეობა უნდა იყოს არა მარტო ჩვენი, არამედ რკინიგზათა სამინისტროს საკუთრებაც. მიზანი ადვილი მისახვედრია: ასეთი, დამოკიდებულების წყალობით მისი დაცვა-შენახვისა და უსაფრთხოების გარანტიები გვექნება.

**— რას იტყოდით საქართველოს რკინიგზის ტექნიკურ მდგომარეობაზე?**

— უკანასკნელი წლის განმავლობაში რკინიგზა არსებითად განახლდა. ამ პერიოდში გავწიეთ მუშაობა, რომელიც არ განხორციელებულა ათწლეულების მანძილზე. ამავე დროს კი დიდად ჩამოვრჩებით ევროპის რკინიგზის ქსელის დონეს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**საქინფორმის კორ.**

### მთელი ფრონტით

**თერჯოლის** სამრეწველო კომბინატის კოლექტივი საქართველოში მომხდარი მიწისძვრის პირველი დღეებიდანვე ჩადგა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

ჯერ იყო და დაზარალებულთა ფონდში 14 ათასი მანეთი გადარიცხეს, შემდეგ კი რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაკოლმეურნეომშენის" განკარგულებით სამრეწველო კომბინატი მთლიანად აღდგენით სამუშაოებს ასრულებს.

მათ სპეციალური დავალება მიიღეს მიწისძვრისაგან დანგრეული სახლებისა და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების აღდგენის სამუშაოების ჩასატარებლად.

საჩხერის, ამბროლაურის, ონის, ჭიათურის, ზესტაფონის, ტყიბულის, ცაგერისა და თერჯოლის რაიონებისათვის სამშენებლო ორგანიზაციებს აწვდიან საძირკვლებისა და საკედლე ბლოკებს, გადასახურ ფილებს და ბეტონს.

ბოლო ხანებში ამ ობიექტებზე უკვე გაიგზავნა 200 ათასი მანეთის ღირებულების 1 500 კუბური მეტრი რკინა-ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქციები.

**ჰენრი შარიქაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის"**
**საკ. კორესპონდენტი.**

### თურქეთში საგასტროლოდ

**ქობულეთის** რაიონის სოფელ ლეღვას ფოლკლორული ანსამბლი „ლეღვა" მრავალი ფესტივალის ლაურეატია. შარშან მას სახალხო თვითმოქმედი კოლექტივის წოდება მიენიჭა.

ანსამბლი წელს ზაფხულში თურქეთში ფოლკლორული კოლექტივების საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრა, სადაც მის გარდა მონაწილეობდნენ: თურქეთის, კვიპროსის, იუგოსლავიის, უკრაინის, რუსეთის მხატვრული კოლექტივები.

სამსუნის ფესტივალის მაყურებელი მოიხიბლა ტკბილი, მრავალხმიანი ქართული მელოდიებით და ლაურეატობაც დაიმსახურა. კონკურსის შემდეგ კოლექტივმა ახლომდებარე ქალაქებში ჩაატარა კონცერტები.

**მ. გორგილაძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის"**
**საკ. კორესპონდენტი.**

### დაარსდა ეროვნული იდეოლოგიის ასოციაცია

**1991 წლის** 12 სექტემბერს ქ. თბილისში ჩატარდა დამფუძნებელი კონფერენცია, რომელზეც შეიქმნა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაცია გამომდინარე აქედან, რომ ყველა ჭეშმარიტად დამოუკიდებელ, თავისუფალ ერს და სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს საკუთარი ეროვნული იდეოლოგია, რომელიც უპასუხებს მის სულს, გამოხატავს მისსავე მიზნებს და ამოზრდილია ეროვნული ტრადიციებიდან.

ასოციაციის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებას და ქართველი ერის სრულ კონსოლიდაციას. ასოციაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი ზურაბ გაგნიძე; თავმჯდომარის მოადგილედ — ბატონი მამუკა გელაშვილი; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — ბატონი მამუკა მარგველაშვილი.

### გიგლა პაპალაშვილის „რთველი"

**სიმღერა** ოდითგან იყო და არის ქართველი კაცის თანმხლები. „იავნანას" უმღერის დედა ქართვლისა თავის პირმშოს და მოდის ასე... თავს გვესხმოდნენ, ძარცვავდნენ ვაზს, ანადგურებდნენ ჩვენს სალოცავ კულტურის ძეგლებს და მაინც ისმოდა „შენ ხარ ვენახი". არ ვდრკებოდით, არ დავცემულვართ, კვლავაც ვდგებოდით, კვლავაც ვმღეროდით და ვმაღლდებოდით.

„კურთხეულია ჰანგი ქართული, მტერსაც რომ მახვილს ჩააგებინებს!"

ქართველ კაცს სიმღერით როგორ გააკვირვებ. მაგრამ სიმღერაც არის და სიმღერაც... არა მგონია, ჩვენში — რადიოთი, თუ ტელევიზიით, ფესტივალებზე, კონცერტებზე, დიდსა თუ პატარა შეკრებაზე, მეგობრულ წრეში, ვინმეს არ მოესმინოს გიგლა პაპალაშვილის თავანკარა, ხომახიანი, მჭექარე, ხავერდოვანი ხმა და არ მოხიბლულიყოს.

მისი სიმღერის გამო არაერთხელ გავმხდარვართ მოწმენი იმ აღფრთოვანებისა, სიხარულისა, გაკვირვებისა, ცრემლებისა და იცით, იგი ვის თვალზე გვინახავს? — ჩვენს ერისკაცთა: შალვა ნუცუბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ჩუბინაშვილის, ლადო გუდიაშვილის, ვასო გოძიაშვილის, გიორგი წერეთლის, გიორგი ახვლედიანის, შოთა მესხიას, გოგლა ლეონიძის და სხვათა თვალზე. მისი მოსმენის შემდეგ მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა მეცნიერმა ნილს ბორმა აღფრთოვანება ვეღარ დამალა და აღმოხდა — „შენმა სიმღერამ ჩემი პატარა დანია გამახსენაო".

შვიდ ათეულ წელზე მეტია (ჯერ კიდევ 7 წლისას უმღერია „ურმული") მღერის ასე, სიმღერით გიორგი (გიგლა) პაპალაშვილი. მის განუმეორებელ სიმღერაში გარდასულ სახეთა მოგონებებია, ძველი აკადემიის ნანგრევთა იდუმალებაა, ქართული ჩუქურთმაა, სიცოცხლის სიყვარული, ძმობა და მეგობრობაა..

შინაარსიანი და ლამაზი გზა განვლო „ძია გიგლამ". ჯერ კიდევ ადრე, თბილისში, კონსერვატორიასთან არსებულ სტუდიაში მიიპყრო მისმა ხმამ მაშინდელ ცნობილ სპეციალისტთა ყურადღება. მისი ხმა დიახაც რომ დაამშვენებდა ოპერის სცენას, მაგრამ მან პერიფერია ირჩია და რამდენი რამ გააკეთა ქართული ხალხური მუსიკის აღდგენისა და პოპულარიზაციისათვის. იგი თავად თხზავდა მუსიკასაც და ლექსსაც და მის დიდ პროპაგანდას ეწეოდა.

200-მდე სიმღერა აღუდგენია გიგლა პაპალაშვილს! როგორც მომღერალი და ლოტბარი, წლების მანძილზე ამშვენებდა თბილისის, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, კახეთის რეგიონის სხვა რაიონებს, აჭარასა და აფხაზეთს.

მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა ხალხური სიმღერების ანსამბლმა დიდი წარმატებით მოიარა ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი, ხოლო ამ ორი წლის წინათ გიგლა პაპალაშვილის წარდგენამ თელავთან დამმობილებულ გერმანიის ქალაქ ბიბერახში წარმოუდგენელი აღტაცება გამოიწვია.

დღეს ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებლის, ლოტბარის, საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიგლა პაპალაშვილის ლამაზი ცხოვრებისა და შემოქმედების რთველია. მხნედ, ახალი გეგმებით ხვდება ჩვენი ბერმუხა თავის ღირსსახსოვარ 80 წლისთავს.

დაე, კვლავ ემღეროს!

**გიორგი მათირიშვილი,**
**იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.**
საქინფორმი.

### ზღვისპირეთში „ხავერდოვანი" სეზონია

**გრგვინავს პოლიტიკური ვნებები, ქუჩებში დისპუტები გუგუნებს, ხოლო ცხოვრება, რომ იტყვიან, თავისით მიედინება: ადამიანები დასვენებასაც ახერხებენ. მით უმეტეს, რომ საქართველოს შავიზღვისპირეთში „ხავერდოვანი" სეზონია, აგვისტოს ცხელი დღეები დაგვემშვიდობა, მზე კი აღარ წვავს ადამიანის სხეულს, არამედ ათბობს, პლაჟებზე შემოდგომის სუნთქვა იგრძნობა.**

**სურათების ეს სერია გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა აფხაზეთში ირაკლი ჭოხონელიძემ.**

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

**მთავარი რედაქტორი მამუკა შაჭუაშვილი**

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მოადგილე 99-92-26;
[illegible] 99-73-24.
[illegible]
[illegible] ქ. № 29.
ინდექსი 64434

## რეკლამა

### ყურადღება!

**შეგახსენებთ,** რომ 1991 წლის 9 სექტემბრიდან, დაიწყო ჭადრაკის სასახლეში ჯგუფური ფსიქოთერაპიული სეანსები. პირველადი ავადმყოფების მიღება ყოველდღე 17 საათზე კვირის გარდა.

სეანსების დასაწყისი 18 საათზე.

**მისამართი: ვერის პარკი (ფილარმონიის მოპირდაპირე მხარეს).**

**ტელ: 99-77-86.**

### თბილისის ორსაფეხურიანი (საშუალო და უმაღლესი) ეროვნული სამუსიკო კოლეჯი

**აცხადებს** მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფორტეპიანო (საშუალო და უმაღლესი)
2. საგუნდო სადირიჟორო (საშუალო და უმაღლესი)
3. საესტრადო ხელოვნება: საესტრადო ორკესტრის ინსტრუმენტები, სოლო სიმღერა (საშუალო და უმაღლესი)
4. ქართული ხალხური საკრავები (საშუალო)

სამუსიკო კოლეჯის საშუალო საფეხურზე მიიღებიან შვიდწლიანი სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულები ან აღნიშნული კურსის ფარგლებში ცოდნის მქონე აბიტურიენტები.

სამუსიკო კოლეჯის უმაღლეს საფეხურზე მიიღებიან საშუალო სპეციალური სასწავლებლების ან სამუსიკო ათწლედდამთავრებული აბიტურიენტები.

კოლეჯის მიზანია კურსდამთავრებულთა მაქსიმალური სპეციალიზაციის რეალიზაცია დასავლეთევროპული კლასიკური მუსიკის და ეროვნული მუსიკალური კულტურის მიღწევათა შერწყმის საფუძველზე.

სამუსიკო კოლეჯის საშუალო საფეხური ამზადებს საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტებს (რაზეც სათანადო დიპლომს გასცემს).

სამუსიკო კოლეჯის უმაღლესი საფეხური ამზადებს უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე პედაგოგებს და მუსიკოს-შემსრულებლებს (რაზეც სათანადო დიპლომს გასცემს).

კოლეჯის საშუალო საფეხურზე სწავლების ხანგრძლივობაა 3 წელი, ხოლო უმაღლეს საფეხურზე 3 წელი და 5 თვე.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სპეციალობაში, სოლფეჯიოში (წერა, ზეპირი) და ქართულ წერაში (ჩათვლა).

გამოცდა ქართულ წერაში როგორც საშუალო, ისე უმაღლეს საფეხურზე (წაკითხულის შინაარსის გადმოცემა) მოეწყობა შესაბამის პროგრამათა გათვალისწინებით.

საესტრადო სიმღერის სპეციალობაზე შემომსვლელები სპეციალობის გარდა გაივლიან სმენით შემოწმებას.

სამუსიკო კოლეჯის შემომსვლელთა ასაკი როგორც საშუალო, ისე უმაღლეს საფეხურზე განუსაზღვრელია.

სამუსიკო კოლეჯში სწავლება ფასიანია: საშუალო საფეხურზე სწავლების საფასური სასწავლო წლის განმავლობაში 3000 მანეთია, ხოლო უმაღლეს საფეხურზე — 4000 მანეთი.

განცხადებას სამუსიკო კოლეჯის დირექტორის სახელზე უნდა დაერთოს მოწმობა განათლების შესახებ (საშუალო საფეხურზე), დიპლომი ან ატესტატი (უმაღლეს საფეხურზე), ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სამი ფოტოსურათი (3X4).

საბუთების შემოტანა 30 სექტემბრამდე, 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები გაიმართება 1 ოქტომბრიდან.

სწავლა დაიწყება 7 ოქტომბრიდან.

ეროვნულ სამუსიკო კოლეჯში იმუშავებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები როგორც სპეციალურ, ისე მუსიკის თეორიულ საგნებში. გათვალისწინებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგ-მუსიკოსების მოწვევა როგორც მეზობელი რესპუბლიკებიდან, ისე უცხოეთიდან.

**ეროვნული სამუსიკო კოლეჯის მისამართია:**

**ქ. თბილისი, 380088, ნუცუბიძის ქ. № 181.**

**ტელ: 31-16-06.**

**(თბილისის მე-2 სამუსიკო სასწავლებლის შენობა).**

### ფსიქოკორექციული სეანსები

**მედიტაცია,** ნეიროლინგვისტური პროგრამირება, არტთერაპია, ბიოენერგეტიკა, ფსიქოანალიზი — ამ ძლიერმოქმედი და მეცნიერულად აპრობირებული ფსიქოკორექციული მეთოდებით ატარებს მაღალკვალიფიციურ ფსიქოლოგთა ჯგუფი ეფექტიან ფსიქოლოგიურ სეანსებს, რაც ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას, ფსიქოემოციურ განტვირთვას და ნებისმიერი ფუნქციონალური სახის დაავადების მკურნალობას. წინასწარი ჩაწერა: ყოველ შაბათს 18-დან 20 საათამდე. მისამართი: თბილისი, ბახტრიონის ქ., I კორპ., მე-6 სადარბაზო. საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია — ადამიანის შესაძლებლობათა განვითარების ინსტიტუტი. ტელ. 38-42-01.

### უფასო საგზურები

**საქართველოს** ჰემოფილიისა და დონორობის ასოციაცია ა/წ 20 სექტემბერს 11 სთ-ზე თავის რეზიდენციაში შეკრებაზე იწვევს ყველა ჰემოფილიით დაავადებულ ავადმყოფს, ან მისი ოჯახის წევრს.

დასწრება აუცილებელია.

აქვე გაცნობებთ, რომ ასოციაციას გააჩნია უფასო საგზურები ჰემოფილიით დაავადებულთათვის კურორტ „წყალტუბოში" სამკურნალოდ.

**ასოციაციის მისამართია: თბილისი-86 ქავთარაძის ქ. № 23-ა სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური ოთ. 522 ტელ.: 31-90-01.**

**ასოციაციის პრეზიდენტი**

### 30 სექტემბრამდე

**ქუთაისის** საინჟინრო ინსტიტუტში საბუთები მიიღება 30 სექტემბრამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. კვების მრეწველობის მანქანები და აპარატები.
2. საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია.
3. სამაცივრო ტექნიკა და ტექნოლოგია, სწავლა სამეურნეოანგარიშოა. თანხის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდად, ისე გადარიცხვით.

**მისამართი: — ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, № 98.**

## საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"